# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 18 დეკემბერი 2004 №294 (2315) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბადრი პატარკაციშვილმა ოლიმპიური თამაშები უხმაუროდ და ერთხმად მოიგო

## ახალი თავმჯდომარე დავით ნამგალაურია



## ხელისუფლებამ სპორტის დეპარტამენტი პოლიტიკის აპარტამენტად აქცია



საერთოდ ასეა: წილისყრას არანაკლებ მოუთმენლად ელის გულშემატკივარი, ვიდრე თავად თამაშს. ცხადია, ასე იყო გუშინაც, როცა შვეიცარიულ ნიონში უეფამ ჩემპიონთა ლიგას შემორჩენილ 16 გუნდს სამერვედფინალოდ უყარა კენჭი.

წილისყრა ხომ თავისთავად საინტერესო პროცედურაა და, როცა წინასწარვე იცი, გრანდები უნდა დაეჯახონ ერთმანეთს, ინტერესი გაორმაგებული და გაათმაგებულია.

მარტო ჩამოთვლა რად ღირს:

## მანჩესტერი – მილანი რეალი – იუვენტუსი ბარსელონა – ჩელსი ბაიერნი – არსენალი

სხვა ოთხი წყვილი ასეთივე მყვირალა რომ არ არის, არაფერს ნიშნავს – უბრალოდ, ამათ ფონზე არ ყვირიან, თორემ...

ან ის რად ღირს, რომ ჟოზე მაურინიუ ბარსელონაში ჩაიყვანს „ჩელსის", არადა, სწორედ მაურინიუ იყო ლუის ვან გაალის თანაშემწე, როცა 4 წლის წინ „ბარსამ" საარაკო დაპირისპირებაში სძლია ლონდონელებს.

გნებავთ, „რეალისა" და „იუვენტუსის" 1998 წლის ლიგის ფინალი გავიხსენოთ, ან შარშანდელი ნახევარფინალი პაველ ნედვედის ჯადოქრობებით.

„მანჩესტერისა" და „მილანისა" კი ძალიან ძნელი გასახსენებელია – ესენი ბოლოს 38 წლის წინ შეხვდნენ ერთმანეთს. არადა, ესეც როგორი უცნაური რამაა – ორივენი მუდამ ლიგაში არიან და ამდენი წელია, არ გადაჰყრიან ერთმანეთს.

„პორტუს" და „ინტერის" შებმის მომსწრე კი დედამიწაზე არავინაა – დასაბამიდან ისინი პირველად შეიყარნენ.

# შოთა და რეინჯერსი არ გაგრძელდება




გადაწყდა — შოთა არველაძე „გლაზგო რეინჯერსთან" კონტრაქტს არ გააგრძელებს.

ჯერ კიდევ წინა სეზონის დასაწყისში „რეინჯერსმა" შოთას კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზა, მაგრამ საქმე ჯანჯლდებოდა. აიბროქსელები არველაძეს მოქმედი კონტრაქტისგან განსხვავებულ პირობებს სთავაზობდნენ, რაზეც მხარეები უკვე საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ. შოთას აგენტი ივან ბენეში გლაზგოში ახლახან ჩავიდა და „რეინჯერსთან" არველაძის საკითხი სწორედ მან გაარკვია.

მოკლედ, 31 წლის არველაძე „რეინჯერსში" სეზონის ბოლომდე დარჩება და მერე სხვაგან თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა. შოთას ახალი გუნდი კი მალე გაირკვევა — ბენეში და არველაძე საუკეთესო ვარიანტს ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე აირჩევენ.



# შობისწინა შობა იტალიაში

## იუვენტუს – მილანს მოუთმენლად ელიან

სანამ ჩემპიონთა ლიგაში „მილანი" „მანჩესტერს" გაეჯიბრება, „იუვენტუსი" კი „რეალს", ორივეს ჯერ შინაურულად აქვს ერთმანეთში საქმე გასარჩევი. დღეს ტურინში სრულიად იტალიური დერბია: სერია A-ს ლიდერი მეორეადგილოსანს მასპინძლობს.

დღეს ევროპის 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელი პაველ ნედვედი ევროპის 2004 წლის საუკეთესოს, ანდრეი შევჩენკოს დაუპირისპირდება.

ასეთი თამაშების წინ მიღებულია ძველი თამაშების გახსენებაც. იხსენებენ, რომ „დელე ალპიზე" წინა სტუმრობისას „მილანმა" სამი გოლი გაიტანა. იმასაც იხსენებენ, რომ „მილანს" შობისწინა ტურში 10 წელია არ მოუგია. მაგრამ, რაც უნდა გავიხსენოთ, ერთი რამ ფაქტია: საფეხბურთო ისტორიას სწორედ ასეთი გუნდების ასეთი მატჩები ჰქმნის.

# დინამო პანიონიოსს იქით გამოიძიებს

## შედეგს არ ვემდურით, სახელზე ვიმუშავებთ




პირველი ეტაპი დამთავრდა. გუნდები შვებულებაში წავიდნენ. ახლა მონაგარის დათვლის, თამაშის ავკარგიანობის შეფასების დროა. კლუბებში, ალბათ, შინაურულ ანალიზს აკეთებენ კიდეც, მაგრამ საჯაროდ, ჟურნალისტებთან ერთად ეს სანახევროდ მოლეული სეზონი ჯერ არავის შეუჯამებია, თუმც... როგორც ცხრილში, ამაშიც პირველი თბილისის „დინამოა", რომელმაც გუშინ დიომის საწვრთნელ ბაზაზე მიგვიწვია. კლუბის მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი, სპორტული დირექტორი კახა ჭუმბურიძე და მწვრთნელი გია გეგუჩაძე უნდა ყოფილიყვნენ ჩვენი მასპინძლები, მაგრამ...

— დღეს აქ გია გეგუჩაძეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ დილით ოჯახი ბაკურიანში წაიყვანა და უკან დაბრუნება დითოვლობის გამო ველარ შეძლო — გვითხრა „დინამოს" პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ.

მწვრთნელის არყოფნაში, ბუნებრივია, არაერთი კითხვა უპასუხოდ დარჩა, თუმც დავით პეტრიაშვილის და კახა ჭუმბურიძის ნაუბარიც საინტერესო იყო.

— წმინდა სპორტული თვალსაზრისით, პირველი ეტაპით კმაყოფილები ვართ — თქვა *კახა ჭუმბურიძემ* — ჩემპიონატში პირველი ადგილი და უეფას თასის გათამაშების ჯგუფში თამაში, რა თქმა უნდა, „დინამოსთვის" კარგი შედეგია. მით უმეტეს, რომ სეზონი გუნდმა 80 პროცენტით გადახალისებული შემადგენლობით დაიწყო. მოსამზადებელ პერიოდში ჩვენ სპარინგ-პარტნიორებად შეგნებულად შევარჩიეთ მაღალი კლასის გუნდები, მათთან თამაშმა კი ბიჭებს თვითრწმენა შესძინა და მერე უფრო ძლიერ მეტოქეებსაც ღირსეულად ეთამაშნენ. გვქონდა ჩავარდნაც, მაგრამ ეს დროებითი იყო, გუნდმა მობილიზება შეძლო და პირველი ეტაპი პირველ ადგილზე ჩაამთავრა, რითაც, ვიმეორებ, კმაყოფილები ვართ.

შემდეგ *დავით პეტრიაშვილმა* ილაპარაკა:

— მესმის, რომ ქართველი ქომაგი მაქსიმალისტია და ყოველთვის კარგ შედეგს ითხოვს. ჩვენც ასე ვართ, მაგრამ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი წარუმატებელი თამაშის ობიექტური მიზეზებიც არსებობს. თავისთავად, კარგია, როცა ისმის კითხვა, რატომ ვერ მოუგო „დინამომ" „სოშოსა" თუ „ნიუკასლს", რაც უკვე „დინამოს" პროგრესზე მიუთითებს. აქამდე ხომ ოფიციალურ დონეზე ასეთ გუნდებთან არ გვეთამაშა. ვეცდებით, რომ გაისად შედეგი გავაუმჯობესოთ.

— მეორე ეტაპის დაწყებამდე „დინამო" 20 იანვრიდან 2 თებერვლამდე კვიპროსზე მოემზადება, იქ რამდენიმე ამხანაგურ მატჩსაც გავმართავთ. შემდეგ ესპანეთში, კურორტ მარბელაში გავემგზავრებით და ოთხთა ტურნირში ვითამაშებთ, მეტოქეები დონეცკის „შახტარი", მოსკოვის „სპარტაკი" და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი" იქნებიან.

— ორიოდ დღეა, ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა და ჯერ ახალი ფეხბურთელები არ დაგვიმატებია. რა თქმა უნდა, გუნდის გაძლიერება გვსურს, საამისო რამდენიმე კანდიდატი გვყავს კიდეც, მაგრამ მიზეზთა გამო ჯერ მათ ვინაობას ვერ დავასახელებთ. გეგმაში გვაქვს ლეგიონერების მოწვევაც. არც ისაა გამორიცხული, რომ „დინამო" რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვოს. ფეხბურთელის გუნდიდან გათავისუფლების სამი მიზეზია: ერთი — ის მწვრთნელის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს; მეორე კომერციული ვარიანტია; მესამე — ვინც „დინამოდან" მიდის, იმ პოზიციაზე სრულფასოვანი შემცვლელი უნდა გვყავდეს. დღესდღეობით „დინამოს" მთავარ გუნდში 27 ფეხბურთელი ირიცხება. სხვა გუნდებიდან კი მხოლოდ სამიოთხი ფეხბურთელით არიან დაინტერესებულნი. ამჟამად წინადადებების განხილვის პროცესში ვართ.

— ბურდული და იაშვილი „ლოკომოტივში" და „თბილისში" არიან განათხოვრებულნი, თუმც აქვე გეტყვით, რომ ეს ფეხბურთელები „დინამოს" უკვე ტრანსფერზე ჰყავს. იაშვილით უცხოური გუნდი იყო დაინტერესებული, ის იმ კლუბში იყო კიდეც, მაგრამ უკან ერთადერთი მიზეზით, საზარდულის ტრავმის გამო დაბრუნდა.

— დარასელია და ალექსიძე თავის დროზე არავის გაუყიდია. მათ „დინამოსთან" კონტრაქტი დაუმთავრდათ, ჩვენი შეთავაზებული ახალი პირობები კი მათთვის მიუღებელი გამოდგა. ვწუხვარ, რომ რატის და ვიტალის თავიანთ გუნდებში კარიერა ვერ აეწყოთ. ალეკო ამისულაშვილის სანაცვლოდ კი კიევის „დინამომ" გარკვეული თანხა გადაგვიხადა და ახლა მისი დაბრუნება შეიძლება ათმაგი დაგვიჯდეს.

— ბრაზილიელმა კარლოსმა „დინამო", როგორც წესი და რიგია, ისე დატოვა. ახლა კი რაიმე პრეტენზიები თუ აქვს, ეს მან ან მისმა წარმომადგენლებმა ოფიციალურად უნდა გვაცნობონ. კარლოსი თუ ამბობს, „დინამოდან" განთავისუფლების ფურცელი არ მიმიღიაო, გეტყვით, რომ ეს ჯერ არც არავის მოუთხოვია. მოითხოვენ და უპრობლემოდ მიიღებენ.

— „პანიონიოს"—„დინამოს" გახმაურებული მატჩის თაობაზე ახალს და ბევრს ვერაფერს გეტყვით, ჩვენ ოფიციალური განცხადება უკვე გავაკეთეთ. თავად ვართ დაინტერესებულნი, რომ უეფამ გამოძიება ბოლომდე მიიყვანოს და ჩვენი უდანაშაულობა დადასტურდეს. „დინამო" ალშფოთებულია და ერთხელაც ვამბობთ, რომ ყველას, ვინც ჩვენი რეპუტაცია შელახა, პასუხს მოვთხოვთ. მეტსაც გეტყვით, „დინამოს" უეფას გამოძიების შედეგი არ დააკმაყოფილებს და ამ საქმეს თავად გააგრძელებს. უეფა კი თავის გამოძიების შედეგებს მალე იტყვის და ყველაფერს გაიგებთ. ჩვენ ჯერ არაფრის თქმის უფლება არ გვაქვს. უეფასთან მიმოწერა დღესაც გვაქვს, მათ ჩვენგან „დინამოს" საერთაშორისო თუ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე ყველანაირი ინფორმაცია აქვთ, მათ ისიც კი იციან, კონკრეტულმა ფეხბურთელმა კონკრეტული მატჩი რა მიზეზით გამოტოვა. ეს იმიტომ, რომ ეჭვი არავის გაუჩნდეს, რომელიმე ფეხბურთელი რომელიმე მატჩში შეგნებულად არ ათამაშესო. უეფას ამ სეზონში „დინამოს" ყველა მატჩის ანგარიში თავისი პირველი ტაიმების შედეგებით წინ უდევს.

— როცა „ვისლა" დავამარცხეთ, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო, თუმც, როცა „სოშოსთან" წავაგეთ, ძალიან ნაწყენი დავრჩი. მარტივად რომ ვთქვა, ჩემი მოვალეობა ისიცაა, „დინამოს" თამაშს ყოველთვის კრიტიკულად ვუყურო.

**ქოშა ინასარიძე**

### ინგლისი

| |
|---|
| ჩემპიონატი. XXIV ტური |
| ბრაიტონი 0:1 სტოკი |
| ნოტინგემი 1:1 ლესტერი |
| II ლიგა. XXII ტური |
| საუთენდი 1:0 ჩესტერი |
| გრიმსბი 1:1 ოქსფორდი |

### იტალია

| |
|---|
| სერია B. XVIII ტური |
| კატანია 2:1 სალერნიტანა |
| სერია C1/B. XVI ტური |
| ფერმანა : ჩიტადელა |

### საფრანგეთი

| |
|---|
| I დივიზიონი. XIX ტური |
| ლიონი 1:1 მარსელი |
| II დივიზიონი. XIX ტური |
| ტრუა 5:5 შატორუ |
| ლავალი 0:0 კრეტეი |
| ნანსი 2:0 გრენობლი |
| ნიორი 1:1 გენიონი |
| გენგამი 1:0 ლე ავრი |
| ამიენი 0:0 ლე მანი |
| დიჟონი 1:0 მონპელიე |
| კლერმონი 0:0 რეიმსი |
| ანჟე 2:2 სედანი |

### პორტუგალია

| |
|---|
| სუპერლიგა. XV ტური |
| პორტუ 1:0 მორეირენსე |

### ბელგია

| |
|---|
| იუპილერლიგა. XVII ტური |
| მონსი — ანდერლეხტი გადაიდო |
| II კლასი. XVIII ტური |
| რუზელარე 0:0 სენტ ჟილი |

### თურქეთი

| |
|---|
| სუპერლიგა. XVII ტური |
| დენიზლი 0:0 გალათასარაი |

### ჰოლანდია

| |
|---|
| I დივიზიონი. XVII ტური |
| ტვენტე 0:0 ბრედა |
| II დივიზიონი. XVII ტური |
| დორდრეხტი 2:1 აპელდორნი |
| მაასტრიხტი 0:0 ემენი |
| ზვოლე 1:1 ექსელსიორი |
| ოსი 1:1 ვოლენდამი |
| ტელსტარი 5:2 სიტარდი |
| სპარტა 2:2 იგლსი |
| ვენლო 1:1 ჰელმონდი |
| ვეენდამი 0:1 ჰერაკლესი |
| კამბური 1:0 ჰაარლემი |




ქართული ბიბლიოთეკა

# დავით ოდიკაძე ნაღდი თბილისელია

## დინამო სხვამ თქვას, მე ცაკოს ვირჩევ

ხმები ხმებია, რეალური ამბავი კი სულ სხვა... ამ ბოლო ხანებში ქართულ საფეხბურთო სამყაროში იმდენი რამ ითქვა, რომ ძნელი გასარჩევია ჭორ-მართალი. ასეა დავით ოდიკაძის საქმეც. „თბილისის" ერთ-ერთი ლიდერი თითქოს დღე-დღეზე „დინამოში" უნდა გადასულიყო, მაგრამ ეს ამბავი დღემდე ვერავინ დაადასტურა. გაურკვევლობაშია თავად ოდიკაძეც, რომელმაც გუშინ გვითხრა, ლაპარაკი კი არის, თუმც პირად ად არავინ დამკავშირებიაო...

— „დინამოზე" ვერაფერს გეტყვი. მეც ის ვიცი, რასაც ხალხი ამბობს. ჩემთან არავინ მოსულა და ამ ტრანსფერზე არაფერი უთქვამს. ალბათ მალე გაირკვევა ყველაფერი.

— „თბილისთან" კონტრაქტი როდის გიმთავრდება?

— სეზონის ბოლოს.

— და მანამდე „თბილისში" დარჩენას აპირებ?

— ასე მირჩევნია.

— „დინამომ" რომ შემოგთავაზოს გადასვლა, არ დათანხმდები?

— არ. ვიცი. მიჭირს პასუხის გაცემა. ფაქტია, რომ „თბილისში" თავს კარგად ვგრძნობ და წასვლაზე არ ვფიქრობ. აქაურობას ვერ ველევი.

— ესე იგი, ეს ამბავი გადაწყვეტილია?

— გააჩნია, კლუბები რას მოილაპარაკებენ. ჩემი აზრი კი უკვე გითხარი.

— ახლა რას აპირებ?

— „ბენდელას თასზე" თამაშს. მერე კი, ვნახოთ...

— „თანამეგობრობის თასზე" სათამაშოდ მოსკოვში მიდიხარ?

— კი, „თბილისს" სხვებთან ერთად, ცხადია, მეც მივყვები.

— და „დინამოს" ვარიანტს ისევ არ ახსენებ...

— ჰო, ეგ გასათვალისწინებელია, მაგრამ, როგორც გითხარი, მთავარი კლუბების პოზიციაა. დანარჩენი კი უკვე გარკვეულია.

— უცხოეთში წასვლას ხომ არ უმიზნებ?

— არა, „თბილისში" დავრჩები. ჯერჯერობით სხვა გეგმები ნაღდად არ მაქვს.

— შეკრებაზე როდის მიდიხართ?

— მოსკოვიდან პირდაპირ ანთალიაში ჩავალთ და ჩემპიონატისთვის იქ მოვემზადებით.

— 18 თამაშში 10 გოლი მცველისთვის ნამდვილი იშვიათობაა...

— ასეთ შედეგს ვერც წარმოვიდგენდი, მაგრამ გამიმართლა.

— ასეთი სეზონი როდესმე გქონია?

— არა, ეს ჩემთვის საუკეთესო ეტაპი იყო.

— ცაკარიასზე რას იტყვი?

— „ცაკო" მაგარი კაცია.

— უკვე მეტსახელიც შეგირჩევიათ...

— ეგრეა. ყველას ძალიან მოსწონს, კარგი მწვრთნელია — ურთიერთობაც არ გვიჭირს და ვარჯიშებიც საინტერესო აქვს.

**კახა შალამბერიძე**

# იაშვილს თბილისში ბურთი მოენატრა

## აკუნა ფრაის გასაჭირში არ მიატოვებს



*გადაწყდა, რომ ალექსანდრე იაშვილი ამ სეზონს „ფრაიბურგში“ ჩაამთავრებს, გაისად კი, ალბათ, ახალ გუნდში ითამაშებს. „ფრაიბურგის“ ფორვარდი ახლა თბილისშია და შვებულებას მონატრებულ ახლობლებთან ატარებს, თან ფორმის შესანარჩუნებლად და გასართობად საღამოობით მინი-ფეხბურთს თამაშობს ხოლმე*

— მთელ შვებულებას უქმად ვერ გავატარებ, ბურთს ორი დღე არ გავკარებივარ და ვეღარ მოვითმინე, მეგობრებთან ერთად საღამოობით ვერთობი და მინი-ფეხბურთს ვთამაშობ.

— **თან ფორმას ინარჩუნებ...**

— 3 იანვრამდე შვებულებაში ვარ და იქამდე მსუბუქად მაინც თუ არ ვივარჯიშე, მერე ფორმის ერთიანად აღდგენა გამიჭირდება.

— **სამ იანვარს ვიკრიბებითო, თქვი. ესე იგი, გუნდის გამოცვლაზე აღარ ფიქრობ და „ფრაიბურგში“ რჩები?**

— დიახ, ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ამ სეზონსაც „ფრაიბურგში“ ვითამაშებ.

— **არადა, „ფრაიბურგთან“ ზაფხულში გაფორმებული კონტრაქტით, გუნდის დატოვება ამ ზამთარშიც შეგეძლო...**

— კონტრაქტში მართლაც მაქვს ასეთი პუნქტი და წასვლა რომ მომინდომო, „ფრაიბურგი“ ვეღარ შემაყოვნებს, მაგრამ რა აზრი აქვს შუა სეზონში სადმე გადასვლას?! თანაც „ფრაიბურგს“ ახლა ძალიან უჭირს და მორალურად არ ვიქნები მართალი, გუნდი შუა გზაზე მივატოვო.

— **სხვა გუნდებიდან წინადადება თუ გაქვს?**

— არა, ზაფხულამდე ჩემს ტრანსფერზე ლაპარაკი აღარ იქნება.

— **„ფრაიბურგში“ რას ამბობენ, შევინარჩუნებთ ადგილს ბუნდესლიგაშიო?**

— რა გითხრათ, იმედი გვაქვს, რომ არ გავვარდებით. გუნდი ამ შესვენებაზე ახალი ფეხბურთელების შეძენასა და გაძლიერებას აპირებს. „ფრაიბურგმა“ ჩვენიან ოთარ ხიზანეიშვილთან კონტრაქტი უკვე გააფორმა. ამ დღეებში ავსტრიის ნაკრების მცველთან უნდა დაამთავრონ მოლაპარაკება. [illegible] ხბურთელის გადაბირებით იმედი აქვთ. [illegible] ვინაა, მაგრამ თქვეს, გავიგებთ... ბითო. ვნახოთ, რა გამოგვივა.

— **ჩანს, „ფრაიბურგი“ უფრო მცველების შეძენითაა დაინტერესებული.**

— დაცვაში გვიჭირს ყველაზე მეტად და, რა თქმა უნდა, გუნდიც მცველებს იმატებს. მწვრთნელ ფინკეს ხიზანეიშვილისა და იმ ავსტრიელი მცველის დიდი იმედი აქვს, ჩვენც რამდენჯერმე გვითხრა, ამ ბიჭების დამატებით დაცვაში მეტ-ნაკლებად პრობლემები მოგვეხსნებაო.

— **ახალწვეულები შეკრებას გუნდთან ერთად დაიწყებენ?**

— ალბათ. ყოველ შემთხვევაში, ხიზანეიშვილს სამ იანვარს ელიან.

— **ბუნდესლიგის განახლებამდე ფრაიბურგში ივარჯიშებთ?**

— არა, სამში შევიკრიბებით, ერთ კვირაში კი, როგორც ყოველთვის, პორტუგალიაში გავემგზავრებით. ბუნდესლიგის დაწყებამდე იქ მოვემზადებით.

**ქობა ინასარიძე**

# ზესტაფონი — სტრესული ფონი

## იმას შეიმატებენ, ამას გაიმეტებენ

**როგორ** „ზესტაფონს“ ვნახავთ გაისად? ფაქტია, სახეცვლილს, მაგრამ ვინ ითამაშებს და ვინ არა თემურ მახარაძის გუნდში, ძალიან ძნელი სათქმელია. იმერლებმა უამრავ ფეხბურთელს დაადგეს თვალი და ახალი ისაა, რომ ახალწვეულთა სავარაუდო სიაში ორი ახალი გვარი გამოჩნდა — თბილისის „ლოკომოტივის“ წევრები როინ ონიანი და თენგიზ სიჭინავა.

ამ ამბავს ისიც ამყარებს, რომ ამ ფეხბურთელებს თავის დროზე მახარაძის ხელში უთამაშიათ. სწორედ მახარაძის მიწვევით გადავიდნენ ისინი შარშან ბოლნისის „სიონში“, მერე კი იქიდანაც წამოვიდნენ (სხვათა შორის, მახარაძესთან ერთად) და „ლოკომოტივში“ ჩაირიცხნენ.

ტრანსფერების პარალელურად „ზესტაფონის“ თავკაცები გუნდის გაცხრილვაზეც მუშაობენ და ალბათ ბევრსაც შეელევიან. ახლა შვებულებაში ვართ და გვითხრეს, თუ რამე იქნება, დაგირეკავთო, ამბობენ ჯერაც ზესტაფონელი ფეხბურთელები.

ვის დაურეკავენ და ვის არა, ჯერჯერობით უცნობია.

**ლუკა თალაკვაძე**

„ვიტ ჯორჯიას“ სატრანსფერო პოლიტიკა ყველამ ანაბანასავით იცის. კლუბი ყოველწლიურად ასხვისებს ერთ-ორ წამყვან მოთამაშეს, სანაცვლოდ კი თავისივე ფარმ-კლუბებიდან იღებს შევსებას. ვიტელთა რიგები ამ ზამთარსაც შეთხელდა — გიორგი ადამიასა და ლაშა ნოზაძის წასვლა უკვე გადაწყვეტილი ამბავია, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს სურს გუნდიდან აბარგება, თუმცა მათ კონტრაქტი ბორკავთ.

...ასეა **დავით დიღმელაშვილიც**. „ვიტ ჯორჯიას“ ერთ-ერთმა გამორჩეულმა ნახევარმცველმა თავის გეგმებზე და საქართველოს ჩემპიონატის პირველ-მეორე წრეებზე ორიოდე სიტყვით ეს გვითხრა...

# ექვსი თვეც და წავალ

## დიღმელაშვილს გული სულზე სწყდება

— კონტრაქტი გაისის ივნისამდე მაქვს და ამ სეზონს „ვიტ ჯორჯიაში“ ჩავამთავრებ, მერე კი აუცილებლად წავალ.

— **შემოთავაზება არც ერთი კლუბისგან არ გქონია?**

— ჯერჯერობით არა. ეგებ ზოგადად რაღაც ლაპარაკი არის, მაგრამ ამაზე ვერაფერს ვიტყვი — პირადად არავინ დამკავშირებია. თუმცა, რა თქმა უნდა, უკლუბოდ დარჩენის არ მეშინია...

— **ახლავე რომ გამოჩნდეს მსურველი, რას იზამ?**

— „ვიტ ჯორჯიამ“ თუ გამიშვა და მსურველიც ნორმალური კლუბია, წუთითაც არ დავფიქრდები.

— **ამ ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯიას“ სუსტი თამაში რისი ბრალია?**

— ბევრი არდასაკარგი ქულა დავკარგეთ, მეტის გაკეთება შეგვეძლო, მოკლედ, არა ვარ კმაყოფილი არც შედეგით და არც ჩემი თამაშით. გუნდს მეტი სულისკვეთება სჭირდება, რაც აშკარად გვაკლდა. იმედია, ამ პრობლემას უკან მოვიტოვებთ.

— **ხომ ვერ დააკონკრეტებ, რა პრობლემაზეა ლაპარაკი?**

— დიდი არაფერი, სათქმელად არ ღირს.

— **საჩემპიონო გუნდად ვინ გესახება?**

— ალბათ, „დინამო“. ისე კი, ძალიან კარგია, რომ ასეთი დაძაბული ჩემპიონატია. რამდენიმე გუნდს აქვს ჩემპიონობის შანსი.

— **მათ შორის „ვიტ ჯორჯიასაც“?**

— რა გითხრათ, თამაშები გვიჩვენებს. ისე კი, ჩვენ მაქსიმუმს გავიღებთ, ყველა თამაშში მოსაგებად ვიბრძოლებთ და რა გამოგვივა, მერე ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**





# ლოკომოტივს მუშტარი გამოუჩნდა

## თურქების აშენებულს თურქები ყიდულობენ?

**საქართველოს** რკინიგზა არაპროფილურ, არარენტაბელურ ობიექტებს ასხვისებს და მათ შორისაა „ლოკომოტივის“ სტადიონი. რკინიგზა ამ არენას გასაყიდ ფასად ოც მილიონ დოლარს ადებს და როგორც იქნა, დაინტერესებული მუშტრებიც გაიჩინა.

რკინიგზის დეპარტამენტს „ლოკომოტივის“ სტადიონის შენახვა წელიწადში დაახლოებით ასი ათასი დოლარი უჯდება, რასაც სანაკრებო თუ საევროტურნირო მატჩებითაც ვერ ფარავს. არც ისეთი ვინმე გამოჩნდა, საკონცერტოდ რომ იქირავოს ეს არენა და „ლოკომოტივიც“ წამგებიანია.

რაც შეეხება პოტენციურ მუშტრებს, ისინი თურქი ბიზნესმენები არიან და ვაჭრობაც, შეიძლება ითქვას, უკვე დაწყებულია. ნიშანდობლივია, რომ სტადიონის აშენებაში სწორედ თურქული სამშენებლო კომპანიები მონაწილეობდნენ.

**ლუკა თალაკვაძე**

# დარჩა მარტო ვასო
## ჭანტურია ტავრიას კარიდან გამოვიდა


გია ჭანტურია

სიმფეროპოლის „ტავრია“ ქართველებისგან დაიფერთხა. აქამდე გუნდი ოთხმა ჩვენებურმა დატოვა — ზურაბ იონანიძე, გია იმედაძე, კახა და ზვიად ჩხეტიანები უკვე რა ხანია, საქართველოში არიან.

ახლახან გაირკვა, რომ „ტავრიაში“ მეკარე გია ჭანტურიაც აღარ დარჩება — მას კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და სიმფეროპოლიდან აიბარგა. სად გააგრძელებს ჭანტურია კარიერას, ჯერჯერობით უცნობია — შესაძლოა, გიაც საქართველოში დაბრუნდეს.

სადღეისოდ „ტავრიაში“ ერთადერთი ჩვენებური ვასილ გიგიაძეა. უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი სიმფეროპოლელებთან მომავალ ზაფხულამდე ითამაშებს. ასეთ შეთანხმებას მიაღწიეს კლუბმა და ფეხბურთელმა რამდენიმე დღის წინ.

შეგახსენებთ, რომ ვასოს სეზონისწინა კონტრაქტით ამ ზამთრამდე უნდა ეთამაშა „ტავრიაში“.

გიგიაძე ახლა მშობლიურ ქუთაისში ატარებს შვებულებას, უკრაინაში კი იანვარში წავა და გუნდს უცხოურ შეკრებაზე გაჰყვება.

**კახა ზალამბერიძე**

გუშინ კუს ტბაზე, კაფე „უიქენდში“ „ბენდელას თასის“ წილისყრა გაიმართა. ტურნირი, რომელშიც თორმეტი გუნდი მონაწილეობს, 21 დეკემბერს დაიწყება და 27-ში დასრულდება.

გუშინდელ წილისყრას თერთმეტი გუნდის წარმომადგენელი დაესწრო, არ იყო მხოლოდ თელავის „კახეთი“ — კახელთა მწვრთნელი ოთარ კორღალიძე მწვრთნელთა სემინარზე გახლდათ და იმიტომ.

ტურნირის მთავარი სპონსორი კომპანია „იბერია ჯგუფია“, რომლის შემწეობითაც ტურნირს ფირმა „მობილი“ სპონსორობდა, ახლა კი „იბერია ჯგუფმა“ კიდევ ორი ფირმა მიიზიდა სასპონსოროდ — „ფოლკსვაგენი“ და „პირელი“.

ტურნირის მხარდამჭერი და მსაჯებით მომმარაგებული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა, ტურნირზე მსაჯთა უსტაბაში ავთანდილ შალამბერიძე იქნება.

„ბენდელას თასის“ მთავარი ორგანიზატორი ქართლოს ჭუმბურიძე გახლავთ და როგორც მან გვითხრა, ამ ტურნირის ჩატარებაში ქალაქის მერიაც დაიდებს წილს.

გუშინდელ ღონისძიებას დაესწრო და წილისყრაში მონაწილეობა მიიღო ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ძალოსანმა გიორგი ასანიძემ. „კარგი იქნება, თუ ტურნირი საერთაშორისო გახდება, ჩემი მხარდაჭერა კი ამ ტურნირს არასოდეს მოაკლდება“ — ასეთი იყო ოლიმპიური ჩემპიონის სიტყვა.

„ბენდელას თასის“ ამ გათამაშებაში მონაწილეობას არ მიიღებს შარშანდელი გამარჯვებული „მაისი“, რადგან იმ ფეხბურთელების გუნდად შეკრება, რომლებმაც შარშან თასი ასწიეს, არ ხერხდება.

„ბენდელას თასის“ ამ გათამაშებაში საქართველოს უმაღლესი ლიგის რამდენიმე ფეხბურთელი ითამაშებს, მაგრამ დინამოელი არცერთი — კლუბმა თავის ფეხბურთელებს ამ ტურნირზე თამაში აუკრძალა, მათ შორის იმათაც, რომლებიც სხვა გუნდებში არიან განათხოვრებული. სამაგიეროდ, ტურნირზე „დინამო 2“ იბურთავებს.

რამდენიმე გუნდში ლეგიონერების გამოჩენაცაა მოსალოდნელი. „იმედში“ სკონტოელი ზურაბ მენთეშაშვილის გარდა დროებით უგუნდოდ მყოფი გოჩა ჯამარაულიც ითამაშებს, ხოლო „მაქსიმუმს“ განაცხადში გიორგი დემეტრაძე და კახა კალაძეც კი უწერია.

მეოთხედფინალში ჯგუფების პირველ-მეორეადგილოსნების გარდა ორი საუკეთესო მესამეადგილოსანიც გავა.



# ბენდელას თასის მაქსიმუმი კალაძე და დემეტრაძე
## გიორგი ასანიძემ თასს საზღვრები გაუხსნა

A ჯგუფი: საბურთალო, შსს, ზოოვეტი, იმედი
B ჯგუფი: კახეთი, დინამო, მაქსიმუმი, ევროპეისი
C ჯგუფი: ლოკომოტივი, იბერია, ცენტრაპოინტი, უნივერსიტეტი

21 დეკემბერი

| | |
|---|---|
| 14.30 | შსს — იმედი |
| 15.30 | დინამო — ევროპეისი |
| 16.30 | ცენტრაპოინტი — იბერია |
| 17.30 | საბურთალო — ზოოვეტი |
| 18.30 | ლოკომოტივი — უნივერსიტეტი |
| 19.30 | კახეთი — მაქსიმუმი |

22 დეკემბერი

| | |
|---|---|
| 14.30 | უნივერსიტეტი — იბერია |
| 15.30 | მაქსიმუმი — ევროპეისი |
| 16.30 | ზოოვეტი — იმედი |
| 17.30 | საბურთალო — შსს |
| 18.30 | ლოკომოტივი — ცენტრაპოინტი |
| 19.30 | კახეთი — დინამო |

23 დეკემბერი

| | |
|---|---|
| 14.30 | დინამო — მაქსიმუმი |
| 15.30 | შსს — ზოოვეტი |
| 16.30 | ცენტრაპოინტი — უნივერსიტეტი |
| 17.30 | საბურთალო — იმედი |
| 18.30 | ლოკომოტივი — იბერია |
| 19.30 | კახეთი — ევროპეისი |

მეოთხედფინალი. 25 დეკემბერი
14.30; 15.30; 16.30; 17.30
ნახევარფინალი. 26 დეკემბერი. 14.30; 16.30
III ადგილი — 27 დეკემბერი. 13.00
ფინალი — 27 დეკემბერი. 16.00

# შესაძლოა, ამერიდანაც გამიშვან, მაგრამ...
## სულიკო დავითაშვილი: პირველი ლიგა იოლი მეგონა


სულიკო დავითაშვილისთვის საგოლე მილოცვები ჩვეული ამბავია

წინა სეზონში სულიკო დავითაშვილი უმაღლესი ლიგის მთავარმეგოლეთაგანი იყო 20 გატანილი ბურთით. მაშინ დავითაშვილი ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობდა, ხოლო ამ სეზონისთვის ბომბარდირი კაცი პირველლიგელ „ამერში“ გადავიდა. როგორც წესი, უმაღლესი ლიგის მთავრმეგოლე ქვედალიგაში არ გადადის, მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე და ასეა დავითაშვილის შემთხვევაშიც. „აბრეზა“ — ასეთი მეტსახელით მიმართავენ მას ახლობლები — პირველი ლიგის ბომბარდირებშიც პირველთაგანია 12 გატანილი გოლით, მასთან საუბარი კი იმით დავიწყეთ, რომ...

— უმაღლესიდან პირველ ლიგაში გადახვედი და პირველი წრის შემდეგ რა შთაბეჭდილებები შეგექმნა, როგორია პირველ ლიგაში თამაში?

— თავიდან მეგონა, პირველ ლიგაში იოლად ვითამაშებ-მეთქი, მაგრამ აქაც ისეა, რომ მაქსიმალური მობილიზაციის გარეშე ვერაფერს გახდები. პირველ ლიგაში უმაღლესთან შედარებით დაბალი დონე კია, მაგრამ ბრძოლისუნარიანობითა და ემოციურობით პირველი ლიგის ფეხბურთელები არავის ჩამოუვარდებიან — პირველ ლიგაში უფრო შეუპოვრობის ხარჯზე თამაშობენ, ვიდრე კლასის.

— 27 წლის ხარ და 21-ის რომ ყოფილიყავი, უმაღლესი ლიგიდან პირველში მაინც გადახვიდოდი?

— „ამერის“ დარ გუნდში ალბათ გადავიდოდი. „ამერში“ სერიოზული პირობებია და არ იგრძნობა, რომ პირველი ლიგის გუნდის ფეხბურთელი ხარ.

— პირველ ლიგაში ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოგეწონა?

— მცხეთის „ვიტ ჯორჯია“ — იქ მართლაც კარგი ახალგაზრდა ფეხბურთელები თამაშობენ, „ვიტ ჯორჯია“ საკმაოდ კარგად დაბალანსებული გუნდია.

— უმაღლესლიგელ „ვიტ ჯორჯიას“ კი თასის მეოთხედფინალში შეხვდით და ორივე მატჩი წააგეთ — 2:5 და 0:2. როგორ ფიქრობ, „ვიტ ჯორჯიასთან“ „ამერს“ წარმატების შანსი არ ჰქონდა?

— როცა ჩემპიონს სტუმრად პირველი ტაიმის ბოლოსთვის 2:0-ს უგებ, ესე იგი, მასთან ტოლსწორად თამაში შეგიძლია. „ვიტ ჯორჯიამ“ კი არ მოგვიგო, ჩვენ წავაგეთ მასთან.

— ცოტა უცნაური ხომ არ არის ასეთი განმარტება?

— „ვიტ ჯორჯიამ“ დაგვჩაგრაო, ასე არ ყოფილა. თასის მეოთხედფინალიდან საკუთარი შეცდომების გამო გამოვვარდით.

— „ამერი“ ახლა უმაღლეს ლიგაში რომ იყოს, რა გაქანების გუნდი იქნებოდა?

— ზედა ხუთეულში იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ.

— გასაგებია, მაგრამ „ამერმა“ ამ სეზონშიც წააგო სტუმრად ხაშურის „ივერიასთან“, შენ კი ამბობ, უმაღლესი ლიგის საუკეთესო ხუთეულის ძალა გვაქვსო...

— „ივერიასთან“ მარცხი გამონაკლისი და შემთხვევითობა იყო, მეორე წრეში „ივერიას“ შინ დიდი ანგარიშით მოვუგებთ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

— დარწმუნებული ხარ, რომ ამ ჩემპიონატში „ამერი“ უმაღლესი ლიგის საგზურს მოიპოვებს?

— ეს აუცილებლად მოხდება, ამიტომაც გადმოვედი „ტორპედოდან“ „ამერში“.

— სადაც კი გითამაშია, გოლები ყველგან გაგქონდა — „ლოკომოტივი“, „თბილისი“, „ტორპედო“ — მაგრამ ამ გუნდებიდან მიზეზთა გამო ყოველთვის მალე მიდიოდი — „ამერშიც“ იგივე ხომ არ მოხდება?

— შეიძლება, „ამერიდანაც“ გამიშვან, მაგრამ ამ კლუბს ისეთი პრეზიდენტი ჰყავს, სად არ მითამაშია და ასეთი არ მინახავს — „ამერში“ ფეხბურთელებისთვის მართლაც ყველაფერი კეთდება.

**დავით თავართქილაძე**

# უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. V ტური

## რომ დამერტყა, ადგებოდა?!

### ფანიაშვილს არჩათვლილსაც ედავებიან

**A ჯგუფი**

**ბაზელი 1:0 ფეიენოორდი**
1:0 კარინიანო (53)

**ჰართსი 0:1 ფერენცვაროში**
0:1 როსა (30)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| შალკე | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ბაზელი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ფერენცვაროში | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ჰართსი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |

**B ჯგუფი**

**პარმა 3:2 ბეშიქთაში**
0:1 ოკანი (6), 1:1 ჯილარდინო (17), 2:1 კარდონე (36), 3:1 დეგანო (60), 3:2 ტუმერი (88)

**სტანდარდი 1:7 ბილბაო**
0:1, 0:2 ესკერო (5, 8), 1:2 ონიევუ (14), 1:3 იესტე (35), 1:4 ესკერო (55), 1:5 ირაოლა (58პ), 1:6 დელ ორნო (64), 1:7 ეჩებერია (70)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბილბაო | 4 | 3 | 0 | 1 | 11:4 | 9 |
| სტიაუა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| პარმა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| ბეშიქთაში | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| სტანდარდი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:11 | 4 |

**C ჯგუფი**

**ბრიუგე 1:1 სარაგოსა**
0:1 სავიო (40), 1:1 ნ. ჩეჰი (68)

**უტრეხტი 1:2 აუსტრია**
0:1 სიონკო (14), 1:1 დ. დუგლასი (54), 1:2 რუშფელდტი (78)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დნიპრო | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| სარაგოსა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| აუსტრია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ბრიუგე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| უტრეხტი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:7 | 0 |

**D ჯგუფი**

**ნიუკასლი 1:1 სპორტინგი**
1:0 ბელამი (5), 1:1 კუშტუდიუ (40)

**სოშო 1:0 პანიონიოსი**
1:0 იზაბეი (86)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| სოშო | 4 | 3 | 0 | 1 | 4:4 | 9 |
| სპორტინგი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:3 | 7 |
| პანიონიოსი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:8 | 3 |
| დინამო | 4 | 0 | 0 | 4 | 2:13 | 0 |



ჰართსი — ფერენცვაროში. ჯონ რობერტსონსა და ლასლო ჟაბას გამშველებელი დასჭირდათ

**A ჯგუფი**

დისკვალიფიკაციამოხდილი „ბაზელის" ფორვარდი კრისტიან ხიმენესი ისეთი მონდომებული იყო, რომ პირველ ტაიმში „ფეიენოორდის" დაცვა დატანჯა, გოლიც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალა. შესვენებამდე „ფეიენოორდის" კარში ბურთი მილე სტერიოვსკიმაც შეაგდო, თუმც არბიტრმა ესეც იგივე მიზეზით გააუქმა. ოცდამეათე წუთზე სტუმარმა დირკ კუიტმაც გაიხარა, გავიტანეო, ოღონდ ამჯერადაც მსაჯმა დაუსტვინა — ისევ თამაშგარე აღნიშნა.

მეორე ნახევარში ხიმენესმა და კარინიანომ რამდენჯერმე კოხტა კომბინაცია გაითამაშეს და მიზანს მესამე ცდაზე მიაღწიეს. ხიმენესის ჩაწოდებულ ბურთს კარინიანომ თავი საგოლედ დაჰკრა და ანგარიში გახსნა.

„ჰართსი" შოტლანდიური ჯიგრით მიაწვა „ფერენცვაროშს", მაგრამ სტუმართა მეკარე ყოჩაღობდა. პოლ ჰარტლიმ მაინც გაიტანა, ოღონდ წაითაღლითა — დარტყმამდე ბურთი ხელით გაისწორა, რაც მსაჯმა შეამჩნია და გოლი არ ჩაუთვალა. შეტევით გართული მასპინძლები უნგრელებმა ზედიზედ ორჯერ გამოიჭირეს კონტრშეტევაზე. „ჰართსი" ალექსანდრ ბაიევსკიმ დაინდო, რადგან ახლოდან ააცილა ბურთი კარს. მომდევნო ეპიზოდში ლიპჩეიმ როსა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. ფრეიგ გორდონმა ფორვარდის პირველი დარტყმა მოიგერია, მაგრამ როსამ მიუსწრო და გაიტანა.

„ფერენცვაროშმა" მოიგო, ნამატჩევს კი მწვრთნელები წაკინკლავდნენ. „ჰართსის" თავკაც ჯონ რობერტსონს დააბრალეს, კოლეგას ფეხი ჩაარტყაო, მაგრამ შოტლანდიელმა უარყო.

უნგრელმა ლასლო ჟაბამ კი დაიჩივლა, რობერტსონმა მაგინაო. თავის მხრივ, შოტლანდიელმა ყველაფერი იუარა, რომ დამერტყა, განა ფეხზე იდგებოდაო? ნამატჩევს ჩემს უმცროს კოლეგას გუნდი შევუქე, მან კი ფეხი მკრა. მსაჯმა მითხრა, ეს ჩემი პრობლემა არ არისო — განაცხადა ჟაბამ. ამ მატჩის მთავარი მსაჯი კი ლევან ფანიაშვილი იყო.

რობერტსონის ვერსია ასეთია: „ჟაბამ მატყუარები გვიწოდა, მერე მოვიდა და ფეხი ფეხზე დამაბიჯა. საპასუხოდ არ დამირტყამს, თორემ ვეღარ ადგებოდა".

„ჰართსის" თავკაცმა აღნიშნა, მსაჯმა ჰარტლის ნაღდი გოლი არ ჩაუთვალა, სტუმრებმა კი თამაშგარე მდგომარეობიდან გაგვიტანესო.

**B ჯგუფი**

„პარმამ" პიეტრო კარმინიანის თავკაცობით პირველივე მატჩი მოიგო და მეთექვსმეტედფინალში გავიდა. „ბეშიქთაში" მეკარე ჯანლუკა ბერტის შეცდომის წყალობით დაწინაურდა. ბერტიმ სერგენის დარტყმული ბურთი ოლივერ კანივით მოიგერია, ოკან ბურუკმა კი მიუსწრო და ანგარიში გახსნა.

პარმელებმა მალევე გაათანაბრეს — ამჯერად სტუმართა დაცვა შეცდა, ამით ჯილარდინომ იხეირა და რამაზანს გაუტანა. 25-ე წუთზე ფათიჰ სონკაიმ დანიელე დეგანო საპენალტედ წააქცია, ჯილარდინომ კი თერთმეტი მეტრიდან სუსტად დაარტყა და მეკარემ აჯობა. დალონებული ჯილარდინო ჯუზეპე კარდონემ გაახარა, რომელმაც ტაიმის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე თავით გაიტანა და „პარმა" წინ გაიყვანა. მეორე ტაიმში დეგანომ საჯარიმოს გარედან ძლიერად გაისროლა და რამაზანი მესამედ დაამწუხრა, ტუმერმა კი შეხვედრის მიწურულს ასევე შორიდან დარტყმით ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

„ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს, მაგრამ ამ გამარჯვებით ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად მოკეთდნენ. ევროთასებზე თამაში ყოველთვის სასიამოვნოა" — განაცხადა კარმინიანიმ.

ბილბაოს „ატლეტიკს" ამ სეზონში პრიმერადივიზიონში, სამეფო თასზე და უეფას თასზე სტუმრად მატჩი არ მოეგო და, „სტანდარდის" სამწუხაროდ, მაინცდამაინც ლიეჟში „აფეთქდა". ესკერომ ჰეთ თრიქი მიითვალა. ირაოლამ 58-ე წუთზე პენალტი რომ გაიტანა, მანამდე ერთი თერთმეტმეტრიანი დარტყმა გააცუდა. ბელგიელთა ტანჯვა ხოსება ეჩებერიამ მეშვიდე გოლით დაასრულა.

**C ჯგუფი**

„ბრიუგეს" წაფორხილებით ვენის „აუსტრიამ" ისარგებლა და მეთექვსმეტედფინალში გაძვრა. ავსტრიელებმა „უტრეხტს" რუშფელდტის გვიანი გოლის წყალობით მოუგეს. სიონკომ მასპინძელთა მცველს შეცდომა არ აპატია და შეხვედრის დასაწყისშივე ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში ჯგუფის ერთადერთმა უქულო „უტრეხტმა" ოთხი თავდამსხმელით შეუტია და მალე დუგლასის წყალობით გაათანაბრა, თუმც რუშფელტდმა მატჩის მიწურულს დასწრებაზე ითამაშა და „აუსტრიას" გამარჯვებისა გაიტანა.

„ბრიუგეს" მოგება სჭირდებოდა, მაგრამ მარცხს ძლივს გადაურჩა. შედეგად „ბრიუგე" „სტანდარდს" შეუამხანაგდა და უეფას თასის გათამაშებას დაემშვიდობა. სარაგოსელმა სავიომ თავური დარტყმით დააწინაურა სტუმრები, მეკარესთან პირისპირ გასულმა ნასტია ჩეჰმა კი შესვენების შემდეგ გაათანაბრა.

**D ჯგუფი**

„ნიუკასლს" ოთხივე მატჩის მოგებასა და ჯგუფური ეტაპის გოლგაუშვებლად დასრულებაში ლისაბონელმა კუშტუდიუმ შეუშალა ხელი. შოლა ამეობიმ ჩააწოდა, „სპორტინგის" მცველი ბეტუ ბურთს ვერ შესწვდა და მისი უნიათობით კრეიგ ბელამი ისარგებლა — თავური დარტყმით ანგარიში გახსნა.

ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე კი კუშტუდიუმ ბელამივით თავით იხეირა და „ნიუკასლმა" ჯგუფურ მატჩებში პირველი გოლი გაუშვა.

„სოშომ" მიკაელ იზაბეის გოლით ბერძნული „პანიონიოსი" დაამარცხა, თუმც მთელი მატჩის განმავლობაში სტუმრებმა მეტი საგოლე მომენტი შექმნეს, ერთხელ კი „სოშოს" მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

**ვაჟა ხუციშვილი**



სტანდარდი — ბილბაო. მასპინძელთა დაბომბვა ესკერომ დაიწყო

## ჰოლანდია

I დივიზიონი. [illegible] ტური

**ვიტესი 3:1 გრააფსხაპი**
0:1 [illegible] (1), [illegible] (58, 98), 3:1 [illegible] (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 16 | 13 | 3 | 0 | 42:8 | 42 |
| ალკმაარი | 16 | 12 | 3 | 1 | 42:12 | 39 |
| აიაქსი | 16 | 10 | 4 | 2 | 37:17 | 34 |
| ფეიენოორდი | 16 | 9 | 4 | 3 | 42:21 | 31 |
| ჰერენვენი | 16 | 8 | 4 | 4 | 28:25 | 28 |
| ვიტესი | 17 | 8 | 3 | 6 | 28:23 | 27 |
| უტრეხტი | 16 | 7 | 4 | 5 | 22:19 | 25 |
| ბრედა | 16 | 7 | 4 | 5 | 27:33 | 25 |
| როდა | 16 | 6 | 5 | 5 | 30:26 | 23 |
| ტილბურგი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:24 | 22 |
| გრონინგენი | 16 | 5 | 4 | 7 | 24:29 | 19 |
| ვალვაიკი | 16 | 4 | 6 | 6 | 20:23 | 18 |
| ტვენტე | 16 | 5 | 2 | 9 | 19:25 | 17 |
| ნაიმეგენი | 16 | 3 | 5 | 8 | 17:22 | 14 |
| დენ ჰააგი | 16 | 3 | 3 | 10 | 19:28 | 12 |
| დენ ბოსხი | 16 | 2 | 3 | 11 | 10:42 | 9 |
| როზენდალი | 16 | 2 | 2 | 12 | 17:43 | 8 |
| გრააფსხაპი | 17 | 1 | 5 | 11 | 17:43 | 8 |

## პერუ

კლაუსურა. XXIII ტური

სიენსიანო — სეზარ ვალეხო 4:0; ესტუდიანტესი — ალიანსა 0:2; სპორტ ბოიზი — უნივერსიდადი 2:2; მელგარი — ვანკა 5:0; სან მარტინი — კორონელი 5:2; უნიონი — სპორტინგ კრისტალი 1:2; უნივერსიტარიო — ატლეტიკო 1:1

## საფრანგეთი

II დივიზიონი
XIX ტური

**ლორიანი 3:0 ბრესტი**
1:0, 2:0 რობსონი (50, 71), 3:0 კონე (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 18 | 11 | 3 | 4 | 27:16 | 36 |
| ტრუა | 18 | 9 | 3 | 6 | 27:22 | 30 |
| სედანი | 18 | 8 | 5 | 5 | 16:14 | 29 |
| ბრესტი | 19 | 7 | 7 | 5 | 20:20 | 28 |
| გენიონი | 18 | 6 | 9 | 3 | 14:10 | 27 |
| მონპელიე | 18 | 7 | 5 | 6 | 18:14 | 26 |
| ლორიანი | 19 | 8 | 2 | 9 | 26:26 | 26 |
| შატორუ | 18 | 5 | 10 | 3 | 16:14 | 25 |
| ლე მანი | 18 | 7 | 4 | 7 | 20:19 | 25 |
| ამიენი | 18 | 6 | 7 | 5 | 18:17 | 25 |
| ლავალი | 18 | 7 | 4 | 7 | 21:23 | 25 |
| დიჟონი | 18 | 6 | 6 | 6 | 19:18 | 24 |
| რეიმსი | 18 | 6 | 6 | 6 | 19:25 | 24 |
| კლერმონი | 18 | 5 | 8 | 5 | 25:21 | 23 |
| გრენობლი | 18 | 5 | 8 | 5 | 21:23 | 23 |
| გენგამი | 18 | 6 | 4 | 8 | 21:24 | 22 |
| ანჟე | 18 | 4 | 7 | 7 | 15:18 | 19 |
| ნიორი | 18 | 6 | 0 | 12 | 17:24 | 18 |
| კრეტეი | 18 | 4 | 5 | 9 | 16:22 | 17 |
| ლე ავრი | 18 | 4 | 5 | 9 | 12:18 | 17 |

## კოლუმბია

კლაუსურა
პლეი ოფი
ფინალი. I მატჩი

**ატლ. ხუნიორი 3:0 ატლ. ნასიონალი**

სარბიელი
სამუშაოდ
იწვევს
გაზეთში ნამუშევარ
დამკაბადონებელს
მიღება
მოხდება
შერჩევით
მსურველებმა
მოგვაკითხეთ
„სარბიელის"
რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი 42,
II კორპუსი,
IV სართული,
15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალის წილისყრა

# აი, სეირი!

*გუშინ ნიონში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის კენჭისყრა მოეწყო, რომლის შედეგებზე მოკლედ ასე შეიძლება ითქვას: დიდი სეირია! და სწორედ ეს გახლავთ პლეი ოფის სისტემის მომხიბვლელობა. რატომ ველოდოთ გა ზაფხულს, ბარემ აქედანვე გავარკვიოთ ვინ ვის: „რეალი" „იუვენტუსს" თუ „ბარსელონა" „ჩელსის", „მანჩესტერი" „მილანს" თუ „არსენალი" „ბაიერნს"? მოკლედ, წინ დიდი სიამოვნება გველის, აქ კი კლუბების წარმომადგენელთა პირველი რეაქციებს გავეცნოთ.*




## რეალი V იუვენტუსი

მადრიდი, ესპანეთი S ტურინი, იტალია

პირველი მატჩი – 22 თებერვალი, საპასუხო მატჩი – 9 მარტი

### ურთიერთშეხვედრები

| | | | |
|---|---|---|---|
| ეჩ 1962 | 1/4 ფინალი | იუვენტუსი — რეალი | 0:1, 1:0, 1:3 |
| ეჩ 1986 | 1/8 ფინალი | რეალი — იუვენტუსი | 1:0, 0:1(პენ.5:4) |
| ჩლ 1996 | 1/4 ფინალი | რეალი — იუვენტუსი | 1:0, 0:2 |
| ჩლ 1998 | ფინალი | რეალი — იუვენტუსი | 1:0 |
| ჩლ 2003 | 1/2 ფინალი | რეალი — იუვენტუსი | 2:1, 1:3 |

# ისევ ჩვენ?!

**ბუტრაგენიო** („რეალის" ნახევარმცველი): მეტოქის არჩევა ჩვენზე რომ ყოფილიყო, ვინმე სხვას ავირჩევდით. ნამდვილად აჯობებდა გადავყროდით გუნდს, რომელიც თამაშის საშუალებას ცოტა მეტად მოგვცემდა, მაგალითად, „მონაკოს". მეორე მხრივ, კენჭისყრაში სულ კარგი გუნდები მონაწილეობდნენ და ჩვენ ერთ-ერთ მათგანს შევხვდებით. ვფიქრობ, წყვილი თანაბარი ძალისაა და იმედი მაქვს, რომ შემდეგ ეტაპზე ჩვენ გავალთ.

**როზერტო ბეტეგა** („იუვენტუსის" ვიცე-პრეზიდენტი): „აშკარაა, რომ „რეალთან" თამაში ძნელი იქნება. მათ ისეთი მაღალი დონის ფეხბურთელები ჰყავთ, როგორებიც არიან რონალდო, ზიდანი და სხვები, მაგრამ ჩვენ მათ ძალიან კარგად ვიცნობთ, ხოლო ეს მათი სისუსტეების მიხვედრაში დაგვეხმარება.




ემილიო ბუტრაგენიო და რობერტო ბეტეგა

## პორტუ V ინტერი

პორტუგალია S მილანი, იტალია

პირველი მატჩი – 23 თებერვალი, საპასუხო მატჩი – 15 მარტი

სად გინდა ჩემპიონთა ლიგას შემორჩენილ გუნდებს შორის იოლი მეტოქის პოვნა... „პორტუ", ბოლოს და ბოლოს, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონია. მაგრამ ყველაფერი მაინც იმაზეა დამოკიდებული, ჩვენ როგორ ფორმაში შევხვდებით მერვედფინალს — თქვა წილისყრის მერე „ინტერის" პრეზიდენტმა ჯაჩინტო ფაკეტიმ — დღეს პროგნოზების გაკეთებაც უაზრობაა. მატჩები ხომ ორი თვის მერე ჩატარდება. რა მოხდება ამ ორ თვეში, ვინ როგორ გაძლიერდება და დასუსტდება, საწინასწარმეტყველოა".

ისე, უცნაურია, მაგრამ „პორტუ" და „ინტერი" არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს.

## პსვ ეინდჰოვენი V მონაკო

ჰოლანდია S საფრანგეთი

პირველი მატჩი – 22 თებერვალი, საპასუხო მატჩი – 9 მარტი

### ურთიერთშეხვედრები

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩლ 2003 | I ჯგუფ. ეტაპი | პსვ ეინდჰოვენი — მონაკო | 1:2, 1:1 |

## ვერდერი V ლიონი

ბრემენი, გერმანია S საფრანგეთი

პირველი მატჩი – 23 თებერვალი, საპასუხო მატჩი – 8 მარტი

### ურთიერთშეხვედრები

| | | | |
|---|---|---|---|
| უთ 1999 | 1/8 ფინალი | ლიონი — ვერდერი | 3:0, 0:4 |

## მანჩესტერი V მილანი

ინგლისი S იტალია

პირველი მატჩი – 23 თებერვალი, საპასუხო მატჩი – 8 მარტი

### ურთიერთშეხვედრები

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩთ 1958 | 1/2 ფინალი | მანჩესტერი — მილანი | 2:1, 0:4 |
| ჩთ 1969 | 1/2 ფინალი | მილანი — მანჩესტერი | 2:0, 0:1 |

# ხომ გინდოდათ მილანი, სერ!



**კენ მერეტი**, „მანჩესტერ იუნაიტედის" მდივანი: „ძნელია იპოვნო უფრო საინტერესო მოვლენა, ვიდრე „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „მილანის" დაპირისპირებაა. ბოლოს მილანელებს ძალიან დიდი ხნის წინ, თუ არ ვცდები 1968/69 წლების სეზონში შევხვდით. საერთოდ, ბოლო წლებში იტალიურ გუნდებთან კარგი შედეგი გვაქვს და ვიმედოვნებ, რომ ტრადიციას არც „მილანთან" მატჩებში ვულალატებთ. 1999 წელს, როდესაც ლიგაში გავიმარჯვეთ, ფინალამდე ორი იტალიური გუნდი ჩამოვიტოვეთ და ორივე შემთხვევაში პირველი თამაში შინ გვქონდა. თან, დარბაზში, სადაც კენჭისყრა მიმდინარეობდა, სწორედ მილანელების გვერდით დავსხედით. გაიხსენეთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი, სერ ალექს ფერგიუსონიც იტალიურ გრანდთან შეხვედრას წინასწარმეტყველებდა. ასე რომ, ვფიქრობ, ჩვენი დაპირისპირება ბედისწერა იყო. მეორე მხრივ, შეჯიბრების ამ ეტაპზე ვისაც არ უნდა შეხვდე, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იქნება... მოკლედ, ამ სეზონში კარგი წინათგრძნობა გვაქვს და თუ „მილანს" გავცდებით, ვინ იცის, რა მოხდება.

**უმბერტო განდინი**, „მილანის" დირექტორი: „ჩვენ ძალიან ძნელი თამაშები გველის, რადგან „მანჩესტერ იუნაიტედი" დიდი გუნდია. ძალიან სასიამოვნო იქნება „ოლდ ტრეფორდზე" დაბრუნება, სადაც ჩვენ 2003 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალი მოვიგეთ. ახლაც შევეცდებით ამ სარბიელთან დაკავშირებული კარგი მოგონებები გავიმრავლოთ, თუმცა პირველი რეაქცია მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს — ჩვენ ევროპისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი შეგვხვდა.

### ტოტალიზატორ „უილიამ ჰილის" კოეფიციენტები ჩემპიონთა თასის აღებაზე

| | |
|---|---|
| მილანი (იტალია) | 11-2 |
| ჩელსი (ინგლისი) | 13-2 |
| ბარსელონა (ესპანეთი) | 13-2 |
| არსენალი (ინგლისი) | 15-2 |
| იუვენტუსი (იტალია) | 8-1 |
| ინტერი (იტალია) | 11-1 |
| მანჩესტერი (ინგლისი) | 11-1 |
| რეალი (ესპანეთი) | 12-1 |
| ლივერპული (ინგლისი) | 14-1 |
| ლიონი (საფრანგეთი) | 16-1 |
| მონაკო (საფრანგეთი) | 16-1 |
| ვერდერი (გერმანია) | 20-1 |
| ბაიერნი (გერმანია) | 22-1 |
| ლევერკუზენი (გერმანია) | 25-1 |
| პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | 33-1 |
| პორტუ (პორტუგალია) | 66-1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალის წილისყრა

## ბარსელონა v ჩელსი

ესპანეთი s ლონდონი, ინგლისი

პირველი მატჩი – 23 თებერვალი, საპასუხო მატჩი – 8 მარტი

### ურთიერთშეხვედრები

| | | | |
|---|---|---|---|
| უთ 1966 | 1/2 ფინალი | ბარსელონა — ჩელსი | 2:0, 0:2, 5:0 |
| ჩლ 2000 | 1/4 ფინალი | ჩელსი — ბარსელონა | 3:1, 1:5დ.დ.(1:3) |

# მაურინიუს ბარსას დამარცხება ბარსელონაში ასწავლეს

„ბარსელონას“ და „ჩელსის“ ოთხი წლის წინანდელი დაპირისპირება ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ერთი იმათგანია, კაცს ძნელად რომ დაგავიწყდება. პირველი მატჩი „სტემფორდ ბრიჯზე“ ლონდონელებმა 3:1 მოიგეს. საპასუხოში, „კამპ ნოუზე“, რივალდომ პენალტი გააფუჭა, მაგრამ „ბარსამ“ მაინც მოახერხა და იგივე ანგარიშით, 3:1 მოიგო. დამატებით დროში კატალონიელებმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს. მართლა დაუვიწყარი თამაში იყო.

მაშინ „ჩელსის“ ჯანლუკა ვიალი წვრთნიდა, „ბარსელონას“ — ლუის ვან გაალი. თუმცა ახლა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ვან გაალის თანაშემწე მაშინ ჟოზე მაურინიუ იყო.



„ემოციური დაპირისპირება გველის — თქვა მაურინიუმ — ბარსელონაში სიხარულით დავბრუნდები, თუმც, რა თქმა უნდა, ვეცდები, „კამპ ნოუს“ გული დავწყვიტო. „ბარსელონაში“ მუშაობისას „ჩელსი“ დამარცხებული მყავს, ვეცდები, ამჯერად პირიქით მოხდეს“.

„ჩელსის“ მდივანმა დევიდ ბერნარდმა კი დასძინა: „ბარსელონას“ უდიდეს პატივს ვცემთ, მაგრამ მისი არ გვეშინია“.

„ბარსას“ პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ კი ასეთი კომენტარი გააკეთა: „ძალიან ძნელი, მაგრამ ამავე დროს დიდებული ბრძოლა გველის. საუკეთესო მწვრთნელები, საუკეთესო ფეხბურთელები — დიდი ფეხბურთის მოლოდინში ვართ“.

თუ ჟოზე მაურინიუმ „ბარსელონა“ დაამარცხა, მეოთხედფინალიც მოიგო, ნახევარფინალიც და ფინალიც, პირველი მწვრთნელი გახდება, ზედიზედ ორჯერ რომ მოიგებს ლიგას ორ სხვადასხვა გუნდთან ერთად.

და ერთიც: „ბარსაც“ და „ჩელსიც“ თავიანთ ჩემპიონატებში ლიდერები არიან.

**ირაკლი ნინიძე**

## ლივერპული v ლევერკუზენი

ინგლისი s გერმანია

პირველი მატჩი – 22 თებერვალი, საპასუხო მატჩი – 9 მარტი

### ურთიერთშეხვედრები

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩლ 2002 | 1/4 ფინალი | ლივერპული — ლევერკუზენი | 1:0, 2:4 |

# ბენიტესი იტალიას გადაურჩა

„ლივერპული“ და ლევერკუზენის „ბაიერი“ ორი წლის შემდეგ კვლავ გადაეყარნენ ერთმანეთს — ამჯერად მერვედფინალში. 2002 წელს ეს გუნდები მეოთხედფინალში შეხვდნენ. მაშინ ნაოპერაციები ჟერარ ულიეს ნაცვლად „ლივერპულს“ ფილ ტომპსონი თავკაცობდა. პირველი მატჩი „ენფილდზე“ მასპინძლებმა 1:0 მოიგეს, ლევერკუზენში კი საამო ფეხბურთი ითამაშეს მეტოქეებმა და „ფარმაცევტებმა“ 4:2 იმარჯვეს.



| 14:30 | 354 | ტენერიფე-ვალენსია | 2.7 | 12.0 | 1.35 | 2.2 | 1.0 | 1.21 |
| 20:00 | 355 | ტაუ-ალიკანტე | 1.45 | 12.0 | 2.4 | 1.29 | 1.0 | 2.0 |
| 20:00 | 356 | ესტუდიანტესი-ლეიდა | 1.05 | 12.0 | 4.8 | 1.0 | 1.0 | 3.42 |
| 21:00 | 357 | აუნკაბლე-ხირონა | 1.2 | 12.0 | 3.2 | 1.09 | 1.0 | 2.52 |
| 14:30 | 358 | მანრესა-რეალი | 2.7 | 12.0 | 1.25 | 2.2 | 1.0 | 1.13 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 359 | ოლიმპია-პანიონიოსი | 2.0 | 12.0 | 1.6 | 1.71 | 1.0 | 1.41 |
| 18:00 | 361 | მაკედონიკოსი-პანათინაიკოსი | 2.4 | 12.0 | 1.4 | 2.0 | 1.0 | 1.25 |
| 18:00 | 362 | მარუსი-პაოკ | 1.2 | 12.0 | 3.0 | 1.09 | 1.0 | 2.4 |
| 18:00 | 363 | მენტი-ირაკლისი | 2.0 | 12.0 | 1.6 | 1.71 | 1.0 | 1.41 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 364 | პანელინიოსი-აპოლონი | 1.8 | 12.0 | 1.8 | 1.56 | 1.0 | 1.56 |
| 22:00 | 365 | აეკ-ოლიმპიაკოსი | 1.15 | 12.0 | 3.4 | 1.04 | 1.0 | 2.64 |

# I ტაიმის შედეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10003 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 2.3 | 2.0 | 4.2 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10004 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 2.1 | 2.0 | 4.3 | 1.02 | 1.41 | 1.36 |
| 10005 | ჩელსი-ნორვიჩი | 1.3 | 3.4 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.38 |
| 10006 | ბოლტონი-სიტი | 2.5 | 2.1 | 3.6 | 1.14 | 1.47 | 1.32 |
| 10007 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10008 | ბლექბერნი-ევერტონი | 3.1 | 2.0 | 2.9 | 1.21 | 1.49 | 1.18 |
| 10009 | მანჩესტერი-კრისტალ პალასი | 1.3 | 3.2 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.28 |
| 10010 | ლივერპული-ნიუკასლი | 2.3 | 2.0 | 4.2 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10011 | პორტსმუთი-არსენალი | 5.4 | 2.3 | 1.9 | 1.61 | 1.4 | 1.04 |
| 10012 | ჩარლტონი-ფულემი | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10080 | მესინა-ატალანტა | 2.1 | 2.0 | 4.2 | 1.02 | 1.39 | 1.35 |
| 10081 | იუვენტუსი-მილანი | 2.9 | 2.0 | 3.4 | 1.18 | 1.56 | 1.25 |
| 10082 | რომა-პარმა | 1.85 | 2.3 | 6.0 | 1.02 | 1.41 | 1.66 |
| 10083 | ბოლონია-რეჯინა | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10084 | ლეჩე-სამპდორია | 2.6 | 2.1 | 3.2 | 1.16 | 1.43 | 1.26 |
| 10085 | ინტერი-ბრეშა | 1.5 | 2.7 | 7.0 | 1.0 | 1.25 | 1.94 |
| 10086 | ფიორენტინა-კიევო | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10087 | უდინეზე-ლაციო | 2.2 | 2.0 | 4.1 | 1.04 | 1.43 | 1.34 |
| 10088 | სიენა-ლივორნო | 2.7 | 2.2 | 3.1 | 1.21 | 1.44 | 1.28 |
| 10089 | პალერმო-კალიარი | 2.2 | 2.0 | 4.0 | 1.04 | 1.41 | 1.33 |
| 10121 | ლევანტე-ალბასეტე | 2.2 | 2.0 | 4.5 | 1.04 | 1.47 | 1.38 |
| 10122 | სარაგოსა-ბილბაო | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10123 | სევილია-ბეტისი | 2.6 | 2.0 | 3.6 | 1.13 | 1.5 | 1.28 |
| 10124 | ნუმანსია-ესპანიოლი | 3.3 | 2.1 | 2.7 | 1.28 | 1.48 | 1.18 |
| 10125 | სოსიედადი-ხეტაფე | 2.1 | 2.2 | 4.1 | 1.07 | 1.38 | 1.43 |
| 10126 | ატლეტიკო-დეპორტივო | 2.85 | 2.0 | 3.65 | 1.17 | 1.6 | 1.29 |
| 10127 | ვილიარეალი-მალაგა | 2.1 | 2.2 | 4.1 | 1.07 | 1.38 | 1.43 |
| 10128 | მალიორკა-ოსასუნა | 2.6 | 2.0 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |
| 10129 | რასინგი-რეალი | 4.2 | 2.0 | 2.1 | 1.35 | 1.39 | 1.02 |
| 10130 | ბარსელონა-ვალენსია | 1.95 | 2.2 | 4.8 | 1.03 | 1.38 | 1.5 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 2.2 |
| 14004 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 1.65 | 2.3 |
| 14005 | ჩელსი-ნორვიჩი | 1.15 | 2.8 |
| 14006 | ბოლტონი-სიტი | 1.8 | 2.0 |
| 14007 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1.7 | 2.2 |
| 14008 | ბლექბერნი-ევერტონი | 1.9 | 1.9 |
| 14009 | მანჩესტერი-კრისტალ პალასი | 1.15 | 2.8 |
| 14010 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.65 | 2.3 |
| 14011 | პორტსმუთი-არსენალი | 2.4 | 1.6 |
| 14012 | ჩარლტონი-ფულემი | 1.7 | 2.2 |
| 14080 | მესინა-ატალანტა | 1.65 | 2.3 |
| 14081 | იუვენტუსი-მილანი | 1.8 | 2.0 |
| 14082 | რომა-პარმა | 1.3 | 2.5 |
| 14083 | ბოლონია-რეჯინა | 1.7 | 2.2 |
| 14084 | ლეჩე-სამპდორია | 1.8 | 2.0 |
| 14085 | ინტერი-ბრეშა | 1.2 | 2.6 |
| 14086 | ფიორენტინა-კიევო | 1.7 | 2.2 |
| 14087 | უდინეზე-ლაციო | 1.65 | 2.3 |
| 14088 | სიენა-ლივორნო | 1.8 | 2.0 |
| 14089 | პალერმო-კალიარი | 1.7 | 2.2 |
| 14121 | ლევანტე-ალბასეტე | 1.7 | 2.2 |
| 14122 | სარაგოსა-ბილბაო | 1.7 | 2.2 |
| 14123 | სევილია-ბეტისი | 1.8 | 2.0 |
| 14124 | ნუმანსია-ესპანიოლი | 1.95 | 1.85 |
| 14125 | სოსიედადი-ხეტაფე | 1.45 | 2.4 |
| 14126 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.8 | 2.0 |
| 14127 | ვილიარეალი-მალაგა | 1.45 | 2.4 |
| 14128 | მალიორკა-ოსასუნა | 1.8 | 2.0 |
| 14129 | რასინგი-რეალი | 2.3 | 1.65 |
| 14130 | ბარსელონა-ვალენსია | 1.45 | 2.4 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11003 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11004 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11005 | ჩელსი-ნორვიჩი | 1.4 | 12.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11006 | ბოლტონი-სიტი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11007 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.5 |
| 11008 | ბლექბერნი-ევერტონი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.7 |
| 11009 | მანჩესტერი-კრისტალ პალასი1.4 | 12.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 | |
| 11010 | ლივერპული-ნიუკასლი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11011 | პორტსმუთი-არსენალი | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.2 |
| 11012 | ჩარლტონი-ფულემი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11080 | მესინა-ატალანტა | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11081 | იუვენტუსი-მილანი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11082 | რომა-პარმა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11083 | ბოლონია-რეჯინა | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11084 | ლეჩე-სამპდორია | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11085 | ინტერი-ბრეშა | 1.6 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.8 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11086 | ფიორენტინა-კიევო | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11087 | უდინეზე-ლაციო | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11088 | სიენა-ლივორნო | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11089 | პალერმო-კალიარი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11121 | ლევანტე-ალბასეტე | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11122 | სარაგოსა-ბილბაო | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11123 | სევილია-ბეტისი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11124 | ნუმანსია-ესპანიოლი | 4.0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11125 | სოსიედადი-ხეტაფე | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11126 | ატლეტიკო-დეპორტივო | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11127 | ვილიარეალი-მალაგა | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7. |
| 11128 | მალიორკა-ოსასუნა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11129 | რასინგი-რეალი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.7 |
| 11130 | ბარსელონა-ვალენსია | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.4 | 4.6 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12003 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12004 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 1.7 | 1.9 |
| 12005 | ჩელსი-ნორვიჩი | 2.0 | 1.6 |
| 12006 | ბოლტონი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 12007 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1.8 | 1.8 |
| 12008 | ბლექბერნი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 12009 | მანჩესტერი-კრისტალ პალასი | 2.0 | 1.6 |
| 12010 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 12011 | პორტსმუთი-არსენალი | 1.8 | 1.8 |
| 12012 | ჩარლტონი-ფულემი | 1.7 | 1.9 |
| 12080 | მესინა-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 12081 | იუვენტუსი-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 12082 | რომა-პარმა | 1.9 | 1.7 |
| 12083 | ბოლონია-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 12084 | ლეჩე-სამპდორია | 2.0 | 1.6 |
| 12085 | ინტერი-ბრეშა | 2.0 | 1.6 |
| 12086 | ფიორენტინა-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 12087 | უდინეზე-ლაციო | 1.8 | 1.8 |
| 12088 | სიენა-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 12089 | პალერმო-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 12121 | ლევანტე-ალბასეტე | 1.6 | 2.0 |
| 12122 | სარაგოსა-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 12123 | სევილია-ბეტისი | 1.6 | 2.0 |
| 12124 | ნუმანსია-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 12125 | სოსიედადი-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 12126 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 12127 | ვილიარეალი-მალაგა | 1.6 | 2.0 |
| 12128 | მალიორკა-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 12129 | რასინგი-რეალი | 1.8 | 1.8 |
| 12130 | ბარსელონა-ვალენსია | 1.7 | 1.9 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13003 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13004 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 1.7 | 1.9 |
| 13005 | ჩელსი-ნორვიჩი | 1.9 | 1.7 |
| 13006 | ბოლტონი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 13007 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 13008 | ბლექბერნი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 13009 | მანჩესტერი-კრისტალ პალასი | 1.7 | 1.9 |
| 13010 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 13011 | პორტსმუთი-არსენალი | 1.8 | 1.8 |
| 13012 | ჩარლტონი-ფულემი | 1.7 | 1.9 |
| 13080 | მესინა-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 13081 | იუვენტუსი-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 13082 | რომა-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13083 | ბოლონია-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 13084 | ლეჩე-სამპდორია | 1.6 | 2.0 |
| 13085 | ინტერი-ბრეშა | 1.7 | 1.9 |
| 13086 | ფიორენტინა-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 13087 | უდინეზე-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 13088 | სიენა-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 13089 | პალერმო-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 13121 | ლევანტე-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 13122 | სარაგოსა-ბილბაო | 1.6 | 2.0 |
| 13123 | სევილია-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 13124 | ნუმანსია-ესპანიოლი | 1.6 | 2.0 |
| 13125 | სოსიედადი-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13126 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.6 | 2.0 |
| 13127 | ვილიარეალი-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 13128 | მალიორკა-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 13129 | რასინგი-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 13130 | ბარსელონა-ვალენსია | 1.7 | 1.9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15004 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15005 | ჩელსი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | ბოლტონი-სიტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15008 | ბლექბერნი-ევერტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 | მანჩესტერი-კრისტალ პალასი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15010 | ლივერპული-ნიუკასლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15011 | პორტსმუთი-არსენალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15012 | ჩარლტონი-ფულემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15080 | მესინა-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15081 | იუვენტუსი-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15082 | რომა-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15083 | ბოლონია-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15084 | ლეჩე-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15085 | ინტერი-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15086 | ფიორენტინა-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15087 | უდინეზე-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15088 | სიენა-ლივორნო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15089 | პალერმო-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15121 | ლევანტე-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15122 | სარაგოსა-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15123 | სევილია-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15124 | ნუმანსია-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15125 | სოსიედადი-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15126 | ატლეტიკო-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15127 | ვილიარეალი-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15128 | მალიორკა-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15129 | რასინგი-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15130 | ბარსელონა-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა




ბადრი კალიაშვილის ფოტო

# ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტი კომიტეტის პრეზიდენტად გარდაიქმნა

# ბადრი პატარკაციშვილს ხანჯალ-ჩოხიანი კაცი დაუხვდა

გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესიამ ტრადიციას უღალატა და შერატონ მეტეხი პალასიდან სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში გადაინაცვლა. სიახლე იყო ისიც, რომ პირველად სეოკ-ის ისტორიაში სესია სახელმწიფო ჰიმნით დაიწყო. ჰიმნს, რაღა თქმა უნდა, ყველანი ფეხზე წამოუდგნენ, მის დასასრულს კი ტაში გაისმა. ტაშით დაწყებული სესია ტაშითვე გასრულდა. ტაში ახლდა ლამის ყოველ გამომსვლელს თუ დაჯილდოებათა ცერემონიალს. ერთადერთი გამონაკლისი მხოლოდ დასაწყისში იყო, როცა სესიის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საანგარიშო პერიოდში გარდაცვლილ ცნობილ ათლეტთა თუ სპორტის მუშაკთა ხსოვნას.

ზემოთ სიახლეები ვახსენეთ და ერთიც უნდა გავიხსენოთ — სესიის მონაწილეთა შორის პირველად გამოჩნდა ჩოხა-ახალუხიანი კაცი. ეს გახლდათ საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი და სეოკ-ის პრეზიდენტობის ერთ-ერთი მოსურნე ბეჟან ხურციძე. უნდა ითქვას, რომ ამ მხარბეჭიან კაცს ჩოხა თავის ქამარხანჯლიანად ძალზე უხდებოდა.

თუ რამ მოიყვანა ეს კაცი ამგვარად გამოწყობილი, ამას ქვემოთ მოგახსენებთ, ახლა კი თანმიმდევრულად მივყვეთ სესიის მსვლელობას.

რაკი სესიის მონაწილეთაგან ერთი გამორჩეული პიროვნება ვახსენეთ, აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ამ თავყრილობას თხუთმეტი ოლიმპიური ჩემპიონი და 18 პრიზიორი ესწრებოდა. სესიის მონაწილეთა შორის მრავლად იყვნენ პროფესორები, მეცნიერებათა კანდიდატები, ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლები, პარლამენტარები, მინისტრები... ერთი სიტყვით, მთელი ბომონდი.

ეს სესია სეოკ-ის საიუბილეო თარიღს, მისი დაფუძნების 15 წლისთავს დაემთხვა და ამ ამბავმა ქორთიარდ მარიოტში შეკრებილთა ისედაც საზეიმო ატმოსფერო უფრო საზეიმოდ დამუხტა.

სეოკ-მა ოქროსა და ვერცხლის ორდენებით დააჯილდოვა ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ-პრიზიორები. ჯილდოებითა თუ პრიზებით დააფასეს სხვა გამოჩენილებიც, რომელთა ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანს, რაკიღა ეს ცერემონიალი ნახევარ საათზე მეტხანს გაგრძელდა.



ბადრი კალიაშვილის ფოტო

ერთს კი ვიტყვით, დაჯილდოებულთა შორის იყო ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილიც, რომელსაც ოქროს ოლიმპიური დაფნის გვირგვინი ოლიმპიელებისთვის გაწეული ქველმოქმედებისთვის გადასცეს. მასვე თავისი ერთ-ერთი ჯილდო გადასცა ვაჟა კაჭარავამ სიტყვებით — „ქველმოქმედებაში ჩემპიონს ოლიმპიური ჩემპიონისგან“. ყოველივე ამაზე ბადრი პატარკაციშვილი უხერხულად შეიშმუშნა და თქვა, რაკი სეოკ-ის პრეზიდენტობაზე კენჭ ვიყრი, ეს არჩევნების მონაწილეებზე ზეწოლააო.

ამის მერე ყველანი სეოკ-ის პრეზიდენტის ჯანო ბაგრატიონის საანგარიშო მოხსენების მოსასმენად განეწყვნენ, მაგრამ ოლიმპიური საქართველოს საჭეთმპყრობელმა დამსწრე საზოგადოებას მიმართა, თუ არ მიწყენთ, მოხსენებით აღარ დაგღლით, რადგან იგი ყველას დაგირიგდათო. ამაზე პროტესტი არავის გამოუთქვამს ამიტომაც პირდაპირ კამათზე გადავიდნენ. თუმცა, სად იყო კამათი...

ერთი-ორი გამომსვლელის მერე კამათი დროებით შეწყდა, სიტყვა სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა აიღო და სესიის მონაწილეებს დაახლოებით ასე მიმართა: „ყველამ იცით, რომ ბატონი ჯანო სეოკ-ის პრეზიდენტობაზე კენჭს აღარ იყრის. ყველამ იცით მისი ღვაწლი ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის განვითარების საქმეში. ამიტომ გვინდოდა მისი დამსახურება კიდევ ერთი ჯილდოთი აღგვენიშნა, მაგრამ აღარ დარჩა ჯილდო, რომელიც მას არ მიუღია. ახლა კი, საბედნიეროდ, ამ რთული ვითარებიდან გვიხსნეს ჩვენმა ლიტველმა კოლეგებმა და მეგობრებმა. ესესაა სესიაზე გვეწვია საქართველოში ლიტვის საპატიო კონსული, ქალბატონი ირენა სლიზივიჩიუტე და სიტყვას მას გადავცემთ.“

ამ მომხიბლავმა ლიტველმა ქალბატონმა დამსწრე საზოგადოებას, ბევრის გასაკვირად, მშვენიერი ქართულით მიმართა და ბოლოს ჯანო ბაგრატიონს უცხოელთათვის განკუთვნილი ლიტვის უმაღლესი ჯილდო — „ოქროს ვარსკვლავი“ გადასცა.

მერე „კამათი“ გაგრძელდა. „მოკამათეთაგან“ საინტერესო იყო ოლიმპიურ ჩემპიონთა აღმზრდელის ვანო გრიქუროვის გამოსვლა — 30 წელიწადზე მეტია, ამ საქმეში ვარ, ძალიან დავიღალე, მაგრამ კიდევ ორ ოლიმპიურ ციკლს უნდა გავუძლოო.

შოთა ხაბარელმა კი თქვა — ძიუდოში ასეთი მიღწევები გვაქვს, მაგრამ არ გვაქვს ერთი რიგიანი დარბაზი, სადაც შეჯიბრებების გამართვა შეიძლებაო. არადა, უცხოელებს ჩვენთან ევროპის ჩემპიონატის გამართვა სურთ, ჩვენ კი სპორტის სასახლის მეტი არაფერი გვაბადია, ის კი არ თბება და ახლა, იანვარში რომ საერთაშორისო ტურნირს ვუმასპინძლებთ, არ ვიცით, რა გვეშველებაო.

როცა სიტყვა სპორტის დეპარტამენტის ყოფილმა თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილმა ითხოვა და მიკროფონთან რომ მივიდა, დარბაზი გაინაბა. ამან, ეტყობა, ირაკლი მეძმარიაშვილი დააფრთხო. თუმცა, რალას იტყოდა, როცა თავადვე თქვა, რაღაც ისე გაჩუმდით, რომ შემეშინდაო. მერე საზოგადოებას აცნობა, სეოკ-ის პრეზიდენტობაზე პრეტენზიას აღარ ვაცხადებ და განცხადება ამას წინათ უკან გავიტანეო. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ათენური წარმატება ყველას ერთობლივმა ძალისხმევამ განაპირობა და გამარჯვებას ნურავინ დაიბრალებსო. მისი გამოსვლიდან საინტერესო იყო ცნობა იმის თაობაზე, რომ მასთან ერთად სამსახური დატოვეს მისმა მოადგილეებმა ლერი ხაბელოვმა და დავით გობეჯიშვილმა და რომ მათი ერთობლივი მუშაობა ძალზე ნაყოფიერი იყო.

თუმცა, როგორც თავად ირაკლი მეძმარიაშვილმა თქვა, ჩემი წასვლა ამ თანამდებობიდან ჩემშივე იყო მომწიფებული და ეს ოლიმპიადამდე განვაცხადეო.

მოკამათეთაგან უნდა გავიხსენოთ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის გიორგი გაბაშვილის გამოსვლაც. მან თქვა, არ მინდა ეს საზეიმო განწყობა შევცვალო, მაგრამ სირაქლემას პოზაში არ უნდა დავრჩეთ, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი კარგადაა და ჩვენი ოლიმპიელების ოქრო-ვერცხლს არ უნდა ამოვეფაროთო. მინდა დავინახოთ მედლის მეორე მხარეცო...

და მაინც, განსაკუთრებით დიდი მოლოდინით ყველანი სეოკ-ის პრეზიდენტის არჩევას ელოდნენ. აღმოჩნდა, არჩევნებამდე წინა დღით თავისი კანდიდატურა მოუხსნია ბეისბოლის ფედერაციის პრეზიდენტ რამაზ გოგლიძეს. სესიაზე იგივე მოიმოქმედა ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა. მას ეს საქმე ოდნავ დაჭსწრო ჩოხოსანმა ბეჟან ხურციძემ.

„ჩემს ასეთ ჩაცმულობას ორი მნიშვნელობა აქვს — ამბობს ბეჟან ხურციძე — ერთი სერიოზულია, მეორე კი სალაღობო. ჩემი წინადადება, რომ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის წევრები ჩემსავით ეროვნულ სამოსში გამოხვიდეთ. ეს წინადადება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს გავაცანი და მოიწონა. ჩემი ასეთი ჩაცმულობა კიდევ იმით აიხსნება, რომ ბადრი პატარკაციშვილის შეშინება მსურდა, მაგრამ რაკი ვერ შევაშინე, სეოკ-ის პრეზიდენტობისთვის ჩემს კანდიდატურას ვხსნი და კენჭისყრაში აღარ ვმონაწილეობ.

„მარტოდ“ დარჩენილ ბადრი პატარკაციშვილს კი რაღა კენჭისყრა უნდა, თუმცა, ფორმალურად კენჭისყრა მაინც ჩატარდა.

ასე რომ, საქართველოს ეოკ-ის ახალი რიგით მესამე პრეზიდენტი ჰყავს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ევროლიგა

## პირველი ჯგუფური ეტაპი. VII ტური. 15-16 დეკემბერი

# ბოისასაც შეეშალა

ვლადიმერ ბოისა „ოლიმპიასთვის" ისედაც ლიდერია, მაგრამ აეკ-თან მატჩის ბოლო წამებზე რომ გამართლებოდა, მის ამ „სტატუსს" მეტი ეშხი შეემატებოდა. ევროლიგის B ანუ, ეგრეთ წოდებულ, სიკვდილის ჯგუფში მებრძოლი „ოლიმპია" თავქარიანი ფანებით განთქმულ ათენში თამაშობდა და თითქმის წაგებული მატჩი შემოუტრიალა აეკ-ს, თუმც ბოლო წამზე დიდი იაღლიში მოუვიდა.

აეკ-მა ჯგუფური ეტაპი უხეიროდ დაიწყო და ერთხანს ცხრილის ფსკერზეც „განისვენებდა", ახლა კი საგრძნობლად მოღონიერდა და მაინცდამაინც „ოლიმპია" იმსხვერპლა.

ლიუბლიანელები თავიდანვე ჩამორჩნენ, მაგრამ არც ისე, რომ იმედი წართმეოდათ. საწყისი მეოთხედის ბოლოს აეკ-ი სამ, ტაიმის მიწურულს კი უკვე ცხრა ქულას იგებდა. „ოლიმპია" კი ინერციით მიჰყვებოდა ათენელებს და შტურმის მოსაწყობად შესაფერის მომენტს არჩევდა.

ეს მომენტი დადგა მესამე მეოთხედის დასრულებამდე ორი წუთით ადრე, როცა მასპინძლები უკვე 14 ქულით ლიდერობდნენ. მარიან ბაზდარიჩმა და ბოისამ შორიდან დასჭექეს სამქულიანები და გადამწყვეტი მეოთხედის წინ აეკ-ი ათ ქულას იგებდა.

განახლდა თამაში და ლიუბლიანელები კიდევ უფრო მიაწვნენ მასპინძლებს. ახლა უკვე საშო ოზბოლტმა გაისწორა სამიზნე, რომელსაც ამ მატჩის ბომბარდირმა ბაზდარიჩმაც წაამველა ხელი და ოლიმპიელები საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე ხუთ ქულამდე მიუახლოვდნენ ბერძნებს.

ბოისა ხომ ისედაც მონაწილეობდა ლიუბლიანელთა შტურმში და მასში მანუჩარ მარკოიშვილიც გაერია, რომელმაც ზუსტი ორქულიანით „ოლიმპია" 75:74 დააწინაურა. ბრინჯივით დაბნეულმა მასპინძლებმა, როგორც იქნა, მოახერხეს და ერთი ბურთი ჩააგდეს. სირენამდე ნახევარი წუთი რჩებოდა და ლიუბლიანელები შეტევის შედეგიანად დაგვიგვინების შემთხვევაში გამარჯვებას იზეიმებდნენ. მიიყვანეს კიდევაც საქმე გადამწყვეტ სროლამდე, რომელიც ვლადიმერ ბოისას ანდეს, მაგრამ ჩვენიანს მიზანმა უმტყუნა და... ფარიდან ასხლეტილი ბურთი ისევ ვოვამ მოიხელთა, თუმც სირენის თანხლებით კვლავ არაზუსტად ესროლა. აი, რომ ჩაეგდო...

ისე, 17 ქულა კი დააგროვა, მაგრამ რად გინდა...

ამავე ჯგუფში შედგა ტიტანთა ჭიდილი, რომელიც სულაც არ გამოდგა ასეთი, რაკი „მაკაბიმ" ისე გააპარტახა „ბარსელონა", რომ თელ ავივის თვალუწვდენელ დარბაზში შეკრებილ ებრაელებსაც შეეცოდებოდათ კატალონიელი ვარსკვლავები. „მაკაბიმ" პირველი მეოთხედში მიანიშნა ლეიან ბოლიროზს „საქმე", რომ „ბარსას" მესაგები თელ ავივში არაფერი იყო. საწყისი ათწუთეული მასპინძლებმა 26:7 მოიგეს და საბოლოოდ ვიცე-ჩემპიონები 25 ქულით გაანადგურეს. ბოისამ წინა ტურში, აი, ამ „მაკაბის" ჩაუგდო 28 ქულა...

**ირაკლი პერტაია**



„ოლიმპიას" კაპიტანი ვლადიმერ ბოისა (№ 7) ათენში სულ ბოლოს შეცდა

### A ჯგუფი

**კლიმამიო 77:70 რეალი**
კლიმამიო: ბაზილე (19), ვუიანიჩი (17), სმოდიში (11)
რეალი: ჯელებალე (17), ბერკი (15), ჰერვილი (10)

**ეფესი 78:63 პარტიზანი**
ეფესი: სოლომონი (35), კუკო (11)
პარტიზანი: ტრიპკოვიჩი (15), ბოგდანოვიჩი (10), ერდენი (10), სტეპი (10)

**ესტუდიანტესი 87:57 ოლიმპიაკოსი**
ესტუდიანტესი: მისო (14), იასენი (13), იტურბე (13), ხიმენესი (12), გარცესი (12)
ოლიმპიაკოსი: პერი (16), კალამბოკისი (11)

**ციბონა 88:57 პროკომი**
ციბონა: შტიმაცი (13), ზიზიჩი (12), ლონგინი (11), კრსტიჩი (11)
პროკომი: მასიულისი (16), იაგოდნიკი (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 7 | 6 | 1 | +66 | 13 |
| კლიმამიო | 7 | 6 | 1 | +59 | 13 |
| რეალი | 7 | 4 | 3 | +40 | 11 |
| ციბონა | 7 | 4 | 3 | +25 | 11 |
| ესტუდიანტესი | 7 | 3 | 4 | -4 | 10 |
| პროკომი | 7 | 3 | 4 | -39 | 10 |
| პარტიზანი | 7 | 1 | 6 | -35 | 8 |
| ოლიმპიაკოსი | 7 | 1 | 6 | -112 | 8 |

### B ჯგუფი

**აეკ 76:75 ოლიმპია**
აეკ: პაცისი (17), ზისისი (16), ნიჩევიჩი (12)
ოლიმპია: ბაზდარიჩი (27), *ბოისა* (36 წუთი, 17 ქულა, 2 მოხსნა), *მარკოიშვილი* (14 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი)

**სიენა 93:70 სკავოლინი**
სიენა: სტეფანოვი (18), კაკიუზისი (17)
სკავოლინი: მოტოლა (21), არჩიბალდი (15), სმიტი (11)

**ვილერბანი 85:83 ჟალგირისი**
ვილერბანი: ლიდეი (25), მრაცეკი (17), პელე (13)
ჟალგირისი: პეკი (23), ლავრინოვიჩი (14)

**მაკაბი 84:59 ბარსელონა**
მაკაბი: ბასტონი (20), პარკერი (16)
ბარსელონა: ფუჩკა (15), ილიევსკი (14)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 7 | 6 | 1 | +103 | 13 |
| სიენა | 7 | 4 | 3 | +42 | 11 |
| ბარსელონა | 7 | 4 | 3 | +26 | 11 |
| ოლიმპია | 7 | 3 | 4 | -9 | 10 |
| ჟალგირისი | 7 | 3 | 4 | -15 | 10 |
| აეკ | 7 | 3 | 4 | -15 | 10 |
| სკავოლინი | 7 | 3 | 4 | -71 | 10 |
| ვილერბანი | 7 | 2 | 5 | -61 | 9 |

### C ჯგუფი

**ცსკა 86:82 სკაილაინერზი**
ცსკა: გრეინჯერი (18), ბრაუნი (14), ანდერსენი (13), ჰოლდენი (12)
სკაილაინერზი: უილიამსი (30), ელისი (21), როლერი (12)

**პანათინაიკოსი 109:89 პო ორტეზი**
პანათინაიკოსი: ლაკოვიჩი (20), ალვერტისი (18), ბატისტი (16), დიამანტიდისი (12)
პო ორტეზი: ლუქსი (22), ჩატმენი (19), რუპერტი (15), მარსელისი (13)

**ტაუ 71:81 ულქერი**
ტაუ: კალდერონი (21)
ულქერი: ერდოგანი (27), გონლუმი (13)

**ბენეტონი 72:62 უნიკახა**
ბენეტონი: ბულერი (19), სორანა (14)
უნიკახა: გარბაროსა (23)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 7 | 7 | 0 | +58 | 14 |
| ულქერი | 7 | 4 | 3 | +36 | 11 |
| ბენეტონი | 7 | 4 | 3 | +29 | 11 |
| პანათინაიკოსი | 7 | 4 | 3 | +11 | 11 |
| ტაუ | 7 | 3 | 4 | +5 | 10 |
| უნიკახა | 7 | 2 | 5 | -6 | 9 |
| სკაილაინერზი | 7 | 2 | 5 | -59 | 9 |
| პო ორტეზი | 7 | 2 | 5 | -74 | 9 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

16 დეკემბერი

**ჩიკაგო 85:77 მილუოკი**
ჩიკაგო: ჰაინრიხი (28), დუჰონი (4), დენგი (9), დევისი (6), კარი (18); გორდონი (8), ჩანდლერი (6), ნოჩიონი (6), პიატკოვსკი, გრიფინი
მილუოკი: უილიამსი (6), რედი (22), მეისონი (15), სმიტი (12 ქულა, 11 მოხსნა), გაძურიჩი (2); ჯეიმსი (7), გილი (6), *ფაჩულია* (16 წუთი, 5 ქულა, 3 მოხსნა), ფიზერი (2)

**საკრამენტო 99:115 ლეიკერსი**
საკრამენტო: ჯეკსონი (20), ვებერი (20), ბიბი (17)
ლეიკერსი: ბრაიანტი (31 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა)

**დეტროიტი 81:69 კლივლენდი**
დეტროიტი: ჰამილტონი (21), ბილაფსი (16)
კლივლენდი: გუდენი (18 ქულა, 10 მოხსნა), მაკინისი (14), ჯეიმსი (11 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი, 4 ჩაჭრა)




ზაზა ფაჩულია „ჩიკაგოს" ფარქვეშეთში

# საქართველოს ჩემპიონატი

## ზურაბ ტომარაძე:
# ავიამშენი ქართული კლუბების ნაკრებია

19 დეკემბერი. ვერის ბაღი

### დინამო VS ავიამშენი

„დინამოს" თავკაცი ზურაბ ტომარაძე დიპლომატი და ფსიქოლოგიურ ასპექტებით მმანიპულირებელი მწვრთნელია. გასულ ოთხშაბათს, თსუ-სთან მატჩის წინა დღეს, განაცხადა, შანსები თანაბარიაო და სტუდენტები 20 ქულით დაამარცხა. უფრო ადრე კი თითქმის იგივე თქვა რუსთაველებთან მატჩებზეც, მაგრამ ქვემოქართლელებს მისმა „დინამომ" უარესი დღე აყარა. გუშინ კი ბატონმა ზურაბმა აქო და ადიდა საკვირაო მეტოქე „თბილავიამშენი", ლევან მოსეშვილის გუნდი ქართული კლუბების ნაკრებია და ჩვენი რეალური დონე მასთან ბრძოლაში გამოჩნდებაო. არადა, პირველ წრეში „დინამოს" „ავიამშენი" დამარცხებული ჰყავს და ვნახოთ, ახლა რა შედეგს გამოიღებს დინამოელთა თავკაცის დიპლომატია...



გურამ ცომაიაშვილის ფოტო

*— მზადყოფნაში თუ ხართ, ტრავმებს ხომ არ უჩივით? — „სპორტ კაფეში" შეკრებილმა ჟურნალისტებმა თავდაპირველად ეს კითხვა დაუსვეს „დინამოსა" და „ავიამშენის" მწვრთნელებს...*

ლევან მოსეშვილი: „მხოლოდ მე არ ვარ მწყობრში, გაციებული გახლავართ და ზეგამდე თუ გამივლის, არ ვიცი. სხვა მხრივ არავითარი პრობლემა არ გვაწუხებს შემადგენლობასთან დაკავშირებით."

ზურაბ ტომარაძე: „სამი მოთამაშე გაციებულია, სრულ მზადყოფნაში არ არიან და თუ ვერ გამოჯანმრთელდნენ, კვირას ეგებ ვერც ითამაშონ."

*— „დინამოსთან" პირველ წრეში წაგებული მატჩიდან რა დასკვნები გააკეთეთ? — ჰკითხეს „ავიამშენის" თავკაცს...*

— რა თქმა უნდა, სათანადო დასკვნები გამოვიტანეთ წინა წრეში წაგებული მატჩიდან. მთავარი ისაა, რომ მოწინაალმდეგეს ახლა უფრო მეტი სერიოზულობით ვუყურებთ, ის მატჩი ხომ ფაქტობრივად „დინამოს" რეალური ძალის შეუფასებლობით წავაგეთ. ყურადღებას გავამახვილებთ ლაშა გამყრელიძეზე, რომელმაც მაშინ 34 ქულა ჩაგვიგდო. თუმც ერთი აშკარა უპირატესობა კი გვაქვს: დილმის თბილ ბაზაზე ნავარჯიშებ „დინამოს" ცივ დარბაზში მოუწევს თამაში. ჩვენ კი ისედაც გაყინულ დარბაზში ვვარჯიშობთ და უფრო ადაპტირებულები ვიქნებით. ისიცაა, რომ ახლა გაცილებით შეთამაშებულები ვართ და ისე იოლად აღარაფერს დავთმობთ...

„თბილავიამშენი" ყველაზე გამორჩეული გუნდია, მას შეიძლება საკლუბო ნაკრებიც დავარქვათ, რადგან ყველა მოთამაშე მეტად გამოცდილი და ძლიერია — თქვა ზურაბ ტომარაძემ — ეს გუნდი ახალი შექმნილია და დრო სჭირდება შესათამაშებლად. ერთი მატჩის წაგება ან მოგება არაფერს წყვეტს, „ავიამშენს" დიდი პოტენციალი აქვს და ჩვენი მიზანი ამ გუნდთან ღირსეული ბრძოლაა."

**ვალერი კილაძე, „დინამოს" მეფარე:** „ავიამშენი" რევანშის აღებას ეცდება და დიდ ბრძოლას გაგვიმართავს. მე ფორმა სრულად არ აღმიდგენია, თუმც მაქსიმუმს გავიღებ გამარჯვებისთვის."

**დავით თორთლაძე:** „პირველ წრეში „დინამოს" არ ჰყავდა შემადგენლობა ბოლომდე დაკომპლექტებული და მაინც მოგვიგო. ჩვენი მარცხი მხოლოდ ფსიქოლოგიური ასპექტის ბრალი იყო, თუმც ახლა მეტოქე გაცილებით ძლიერია და კარგი ბრძოლაც იქნება. ვერავის გამოვარჩევ, ვისზეც მწვრთნელი მიგვითითებს, იმ მოთამაშის განეიტრალებას ვეცდებით."

**ირაკლი პერტაია**

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს ახალი შეფი ჰყავს. ირაკლი მეძმარიაშვილის მემკვიდრეობა პარლამენტარმა დავით ნამგალაურმა ჩაიბარა. წარმატებული სპორტული წლების მიუხედავად ხელისუფლება დეპარტამენტის მუშაობით არცთუ კმაყოფილი იყო და ამაზე მრავალჯერ გვსმენია. ამ დეპარტამენტის საერთოდ გაუქმებაზეც კი ალაპარაკდნენ, თუმც ეს დროებით გამოირიცა. გაუქმებული უწყების სათავეში ახალი ხელმძღვანელობა ხომ აღარ გამოჩნდებოდა?!

# სახელისუფლო აზრი: ნამგალაური კარგად მომკის



26 წლის ნამგალაურის კანდიდატურაზე საუბარი კულუარებში ბოლო დღეებში დაიწყეს. გუშინ კი საქმე ოფიციალურ წარდგენამდეც მივიდა. ახალი თავმჯდომარე ახალ სამუშაო ადგილს ორშაბათიდან მიაშურებს და სავარაუდოდ, პირველ რიგში საკადრო ცვლილებებს განახორციელებს. მისი წინამორბედის გარდა ხომ თანამდებობა დატოვეს მეძმარიაშვილის მოადგილეებმა — დავით გობეჯიშვილმაც და ლერი ხაბელოვმაც.

დავით ნამგალაურის სახელი სპორტთან მიმართებაში ახლახან, ძიუდოს კლუბ „სავარეჯოს" წარსადგენ პრესკონფერენციაზეც ახსენეს. „სავარეჯოს" დაამარსებელმა, პარლამენტარმა გია ნაცვლიშვილმა დამსწრეთ აცნობა, რომ მისმა იდეამ პარლამენტში მოწონება დაიმსახურა და მალე რამდენიმე ახალი კლუბიც ჩამოყალიბდებოდა. ერთ-ერთი ინიციატორი ნამგალაურიც ყოფილა, რომელსაც გადაუწყვეტია, ძიუდოს კლუბი დუშეთში შექმნას.

აქტიურ სპორტულ ცხოვრებას დეპარტამენტის ახალი თავკაცი 90-იანი წლების ბოლოს მისდევდა. საკალათბურთო გუნდებში „მერანსა" და „ივერიაში" თამაშობდა და საქართველოს ნაკრების წევრიც ყოფილა.

დატვირთული დღის გრაფიკის გამო ნამგალაურთან პირველი ინტერვიუ საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა. მხოლოდ რამდენიმე წუთი დაგვითმო, ინტერესის სრულად დაკმაყოფილებას კი ახლო მომავლისთვის დაგვპირდა:

— ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ როდის შეიტყვეთ?

—ინფორმაციის გავრცელებამდე ერთი დღით ადრე. მანამდე კი ჭორის დონეზე ვიცოდი, ისევე როგორც სპორტში მოტრიალე სხვა ხალხმა. ჭორები ხომ სხვა სავარაუდო კანდიდატებზეც გავრცელდა.

— ელოდით ამ ჭორის გამართლებას?

— სიმართლე გითხრათ, ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო.

— უკვე ოფიციალურად დაგამტკიცეს?

— კულტურისა და სპორტის მინისტრმა დღეს პრეზიდენტთან წარმადგინა. ჩემი დანიშვნის შესახებ ბრძანება პრემიერსაც გადაუგზავნეს.

— მუშაობას როდიდან შეუდგებით?

— ალბათ ორშაბათიდან.

— ყოფილი თავმჯდომარის გარდა თანამდებობა მისმა მოადგილეებმაც დატოვეს. ხომ არ აპირებთ რომელიმესთან დაბრუნებაზე საუბარს?

— საკადრო ცვლილებებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. ამ უწყების მუშაობით თავად პრეზიდენტიც არ იყო კმაყოფილი და ალბათ ახალი ხალხი გამოჩნდება. შეხვედრით კი ყველას შევხვდები.

ოთარ მაღლაკელიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი კეთილაძის ფოტო

# იქ ყველაფერი მახარებს...

## დიღმის მასივის კომპლექსი: სპორტი, ჯანმრთელობა, ხალისი

როგორც ცაში ვარსკვლავებს, ისე ვერ დაითვლი იმ გზააცდენილ ბავშვებს, ქუჩაში უაზროდ რომ დახეტიალობენ და მეტიც, ქურდობა-ნარკომანობაში ფლანგავენ წლებს. თქმა არ უნდა, ამ ბავშვებისა თუ მოზარდების წამალი სპორტით დასაქმებაა და ამ საქმეს ემსახურება დიღმის მასივში არსებული ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი, რომელიც დიდი ხანია, არსებობს, თუმც უპატრონოდ იყო მიტოვებული.

ახლა? ახლა კი მას თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფროსი, ამავდროულად სპორტის საწყალოსნო სახეობების ფედერაციის პრეზიდენტი გია უდესიანი კურირებს და ეს კომპლექსი რომ მართლაც კომპლექსს ჰგავს, სწორედ მისი დამსახურება ყოფილა.

კომპლექსის დირექტორის მოადგილე ვახტანგ მიმინოშვილიც ენთუზიაზმით გვიყვება: „გასაჯანსაღებლად მოსულ ხალხს აქედან წასვლა აღარ უნდა. ასეთი კომპლექსი ამ რაიონში არ არის. გეგმაშია ვერის ბაღის ტერიტორიაზე დიდი კომპლექსის გაკეთება, რომელიც უფრო ფეხბურთს დაეთმობა. აქ კი გასახდელების, საპირფარეშოების, აბაზანების პრობლემა არ არსებობს. პრინციპში, კომპლექსი მერიას ეკუთვნის, თუმც უფრო კომერციულია — აბონენტთა შემოსავლებით მუშაობს. აბონენტების ნაკლებობას კი არ ვუჩივით, აქაურობა მთელი დღე გადაჭედილია. ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი კი გია უდესიანია — მისი დაინტერესება რომ არ ყოფილიყო, ეს კომპლექსი არ ივარგებდა."

ახლა კომპლექსიც დავათვალიეროთ: 25-მეტრიან საცურაო აუზში ოთხივე საწყალოსნო სახეობის ტურნირის გამართვა შეიძლება. წყლის და ჰაერის ტემპერატურაც ისეთია, ამ ზამთარში გარეთ გასვლა არ მოგინდება კაცს; საკალათბურთო დარბაზიც ჩინებულადაა მოწყობილი და იქვე ფრენბურთის თამაშიც შეიძლება. ასევე გეგმაშია ხელბურთის სექციის შექმნა და ამავე დარბაზში კარატისტებიც ვარჯიშობენ; შენობის პირველ სართულზე ლამაზად მოწყობილი საჭყუმპალაოცაა.

ეს ყველაფერი შენობაში, გარეთ კი ორი ხელოვნურსაფარიანი მინი-სტადიონია, ოლიმპიური მზადების სპორტულ ცენტრს ბავშვთა 8 ასაკობრივი ჯგუფის გუნდი ჰყავს, რომლებიც სლავა მეტრეველის, ვიტალი დარასელიას, ავთანდილ ღოღობერიძისა და ჯუბა ჩუხუას თასზე თამაშობენ. წლეულს კი კომპლექსის ბაზაზე უფროსების გუნდი „სპარტა" შეიქმნა, რომელსაც ნოდარ აკობია წვრთნის. „სპარტა" რეგიონალლიგის აღმოსავლეთ ზონაში ბურთაობს და არცთუ ურიგოდ — პირველი წრის შემდეგ მეექვსე ადგილზე არიან.



ბადრი კეთილაძის ფოტო

ვახტანგ მიმინოშვილი: ხალხს აქედან წასვლა აღარ უნდა

დასასრულ, ვახტანგ მიმინოშვილმა გვითხრა, ბედნიერი კაცი ვარ, ბავშვების მონდომებას რომ ვუყურებ, ჟრიამულსა და სიხარულს რომ ვხედავ, მეტი ხალისით ვმუშაობ...

ილია ნანობაშვილი

ხელბურთი

ევროპის VI ჩემპიონატი. ქალები

უნგრეთი. 9-19 დეკემბერი



REUTERS

ლიზე კნუდსენის დანიამ მასპინძელი უნგრეთი გაჭყლიტა

# უკრაინა რუსებმა გაწირეს

**არ გაუმართლა** ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსან უკრაინას, გუშინდელი მატჩი კი მოიგო, მაგრამ ევროჩემპიონატის ნახევარფინალშიც ვერ გავიდა და მხოლოდ მეხუთე ადგილისთვის მოუწევს ბრძოლა.

მართალია, ლეონიდ რაოტნერის გოგოებმა თავიანთი ქნეს — დრამატულ შეხვედრაში სერბები დაჯაბნეს, მაგრამ ექსოლიმპიურ ჩემპიონ რუსთაგან ესპანელების ძლევამ ისინი სამედლო შანსის გარეშე დატოვა. არადა, ფრის შემთხვევაში სწორედ ისინი გააგრძელებდნენ საჩემპიონო ბრძოლას.

შედარებით ნაკლები ომი იყო მეორე ჯგუფში. ოლიმპიურ ჩემპიონ დანიელებს მასპინძლებთან მატჩში ფრეც აძლევდათ ხელს, თუმც ბოლომდე ჯიგრით იბრძოლეს, დებრეცენში შვიდი ათასი ქომაგის თვალწინ ქულადაუკარგავი უნგრეთი წააქციეს და წაგებით დაწყებული მეორე ეტაპი ლიდერად ჩაამთავრეს.

დღეს ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ოლიმპიური ჩემპიონი დანია და 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონი რუსეთი, აგრეთვე ევროპის 1998 წლის ჩემპიონი ნორვეგია და 2000 წლის ტრიუმფატორი უნგრეთი.

**პირველი ჯგუფი**

რუსეთი 27:24 ესპანეთი
უკრაინა 24:23 სერბეთი
ნორვეგია 41:18 სლოვენია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 5 | 0 | 0 | 158:115 | 10 |
| რუსეთი | 3 | 0 | 2 | 148:133 | 6 |
| უკრაინა | 3 | 0 | 2 | 124:127 | 6 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 3 | 138:138 | 4 |
| სლოვენია | 2 | 0 | 3 | 135:151 | 4 |
| სერბეთი | 0 | 0 | 5 | 131:170 | 0 |

**მეორე ჯგუფი**

გერმანია 29:27 საფრანგეთი
დანია 24:23 უნგრეთი
რუმინეთი 32:28 ავსტრია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დანია | 4 | 0 | 1 | 122:114 | 8 |
| უნგრეთი | 4 | 0 | 1 | 146:126 | 8 |
| გერმანია | 3 | 0 | 2 | 133:127 | 6 |
| რუმინეთი | 3 | 0 | 2 | 137:134 | 6 |
| ავსტრია | 1 | 0 | 4 | 138:149 | 2 |
| საფრანგეთი | 0 | 0 | 5 | 124:150 | 0 |

# კაცი კაცს გადაეყარა

ასე წააწყდნენ ერთმანეთს არგენტინის გმირები, დიეგო არმანდო და გაბრიელ ომარი ბუენოს აირესში, საჩოგბურთო ტრიბუნაზე. დიეგო კუბიდან ჩასულა საშობაოდ, გაბო კი ყატარიდან, სადაც კვლავაც თამაშობს ფეხბურთს იქაურ „ალ არაბიას" გუნდში.



REUTERS ბუენოს აირესიდან




# ამ ბურთით

ამ ბურთით 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშებენ. ფრანც ბეკენბაუერი და „ადიდასელი" ჰერბერტ ჰაინერი ბურთის რაობის მედიას უქებენ. ეს იოკოჰამაში ხდება, სადაც გერმანიის ნაკრები სტუმრობს.




## გამარჯვებული

რაც გინდათ თქვით და ბიატლონი მაგარი სპორტია. თან თხილამურობა და თანაც ოსტატური სროლა. ქალთა მსოფლიოს თასზე, 7,5-კილომეტრიანი სპრინტი ოესტერსუნდის თოვლებში ფრანგმა სანდრინ ბაილიმ მოიგო. თვალიც შეუქეთ და მუხლიც.







# გვარიანი საჩუქარი

შობა ახლოვდება: მაიამის „ბიჭუნათა და გოგონათა კლუბმა" საუცხოო საჩუქარი მიიღო — ნახევარი მილიონი დოლარი. ჩეკი ნორჩებს ბეისბოლის ვარსკვლავმა ალექს როდრიგესმა და მისმა მეუღლემ მიუტანეს.

# მის მსოფლიო

ახალი მის მსოფლიო პერუელი მარია ხულია მანტელია გარსია გახლავთ, გოგო ოცი წლისაა, ქალაქ ტრუხილიოდან და გვარიანი სპორტსმენიც გახლავთ — თავისი ქვეყნის ჩემპიონი ყოფილა ტრიატლონსა და პენტატლონში.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კილაურაძე, თამარ მალლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge